საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილ პერიოდში წარმოშობილ პრობლემათა შორის მნიშვნელოვანია საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო შექმნილი კრიზისული ვითარება. მის დაძლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ექნება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთა განვითარებასა და მსოფლიო ეკონომიკასთან საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციისთვის.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე და უფრო შორეულ პერსპექტივაშიც საქართველოს საძღვაო ტრანსპორტისა და ქვეყნის მთელი სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების მომავალი მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდება ისტორიული დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პერსპექტივას, ტრასეკას, როგორც ევროპა-აზიის სატრანსპორტო ღერუფნის განვითარების მომავალს, მისი ფუნქციონირების ამოცანას, დანიშნულებას.

ამიტომ საზღვაო ტრანსპორტისა და მთელი სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირება განსაკუთრებულ აქრივობას იძენს გარდამავალ და ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში - ეკონომიკური რეფორმების, ეკონომიკის ცალკეული დარგების, მათ შორის, ტრანსპორტის რესტრუქტურიზაციის, ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დამკვიდრების სტადიაზე.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების საკითხები როგორც წარსულის (რეტროსპექტივა), ისე თანამედროვე მდგომარეობით და პერსპექტივაში უშუალოდ უკავშირდება კავკასიის სატრანსპორტო ღერუფნის მშენებლობისა და

ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემებს, რაც მას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს.

ეკონომილურ მეცნიერებაში დადგენილია, რომ ტრანსპორტი ერთდროულად მიეკუთვნება მატერიალური წარმოშობისა და არასაწარმოო სფეროს დარგებს. იგი ერთიმეორესთან აკავშირებს სამრეწველო საწარმოებს და ნედლეულის წყაროებს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების, ქალაქების ეკონომიკას, წარმოებას, ბაზარს. საზღვაო ტრანსპორტი წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობისა და ბაზრის, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს, მათი განვითარების აუცილებელ პირობად.

განვითარებული სატრანსპორტო კავშირების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, საწარმოო ძალების, ეკონომიკის, ეროვნული ბაზრის ნორმალური განვითარება, მისი ინტეგრაციის მსოფლიო მეურნეობასთან. საწარმო-ეკონომიკურ ფუნქციებთან ერთად საზღვაო ტრანსპორტი უდიდეს როლს ასრულებს პოლიტიკური უსაფრთხოების, სამხედრო და სოციალურ-კულტურულ სფეროში, ყოფა-ცხოვრებაში.

თანამედროვე განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, ხალხთომსახლეობა, დემოგრაფიული დინამიზმი ინტენსიური საზღვაო სატრანსპორტო კავშირების შედეგია.

ამრიგად, საზღვაო ტრანსპორტი ასრულებს როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო, მაგრამ საწარმოო სფეროსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ფუნქციებს - გადააქვს ტვირთები და გადაჰყავს მგზავრები. ამის შესაბამისად ტრანსპორტის თითქმის ყველა დარგი იყოფა სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის სახეობებად. ამ მხრივ გამონაკლისია, მაგალითად, მილსადენით თხევადი მასალების გადატანა და პნევმო-ტრანსპორტი.

ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებს, ცხადია, განსხვავებული როლი და ადგილი უკავია მთლიან სატრანსპორტო სისტემაში - ტვირთბრუნვას და მგზავრების გადაყვანაში. ამის შესახებ რეალურ წარმოდგენას გვაძლევს შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები. მაგალითად, 1988 წლის მონაცემებით, როდესაც საქართველოს ტრანსპორტის დარგები სრული დატვირთვით მუშაობდა, საზღვაო ტრანსპორტზე მოდიოდა მთელი გაგზავლი ტვირთების - 21,9%, რკინიგზაზე - 15,2%, საავტომობილოზე - 82,7%. ტვირთბრუნვის მიხედვით კი პირველ ადგილზე იყო საზღვაო ტრანსპორტი - 79,8%, რკინიგზაზე მოდიოდა ტვირთბრუნვის 16,4%, საავტომობილო ტრანსპორტზე კი 3,5%. ასეთი მკვეთრი განსხვავებანი საზღვაო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტს შორის ტვირთების გადატანაში ტვირთბრუნვაში აიხსნებოდა იმით, რომ ტვირთების გადატანას ყველაზე შორ მანძილზე ახორციელებდა საზღვაო ტრანსპორტი, ხოლო ყველაზე მოკლე მანძილზე - საავტომობილო ტრანსპორტი. ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, ცხადია სისტემატიურად ვითარდება ტრანსპორტის სახეობები და დარგები. კერძოდ, იქმნება ახალი სატრანსპორტო საშუალებები, ხდება არსებული სატრანსპორტო ტექნიკის განახლება, რის შედეგადაც იზრდება სატრანსპორტო მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები ტვირთმწეობა, სისწრაფე, კომფორტი და მცირდება სატრანსპორტო გადაზიდვის ხარჯები, წარმოიშობა ახალი სატრანსპორტო სისტემები, გზები, მარშუტები და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: საზღვაო ტრანსპორტი, საავტომობილო ტრანსპორტი, ტვირთბრუნვა

გამოყენებული ლიტერატურა

ბერაია, პ., (2023), საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ და დამოუკიდებლობის პერიოდში. თბილისი

ბერაია, პ., (2003), საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ პერიოდში. თბილისი, სტამბა მერანი.

მეზღვაურთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა

გიორგი ბოლქვაძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

არმაზი ბაკურიძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

რამაზ ქართველიშვილი

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნატალია ჭყონია

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თემა - მეზღვაურთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა ზღვაზე, მოიცავს იმ საკითხს, ოკეანის უზარმაზარ სივრცეში მეზღვაურებს რაოდენ უამრავი გამოწვევის წინაშე უნდადეთ დგომა, რომლებიც სცილდება მათი მოვალეობის ფიზიკურ მოთხოვნებს. ეს მამაცი მამაკაცები და ქალები თავიანთი ცხოვრების ნაწილს ატარებენ მშფოთვარე წყლებში, საყვარელი ადამიანებისგან მოშორებით, უზრუნველყოფენ გემისა და გემზე მყოფი ეკიპაჟის უსაფრთხოებას, ინარჩუნებენ მუდმივ სიფხიზლეს, რათა გადალახონ სირთულეები.

ამ გამოწვევების ფონზე ფსიქოლოგიური მზადყოფნა მეზღვაურის უნარის ქვაკუთხედი. ის მოიცავს მდგრადობას, ადაპტირებას და გონებრივ სიმტკიცეს გარკვეულ პრობლემებთან დაპირისპირების მიზნით. მეზღვაურებმა უნდა შეინარჩუნონ ფოკუსირება, მიიღონ კრიტიკული გადაწყვეტილებები ზეწოლის ქვეშ და ეფექტურად მართონ სტრესი მაღალი რისკების სიტუაციებში.

ამ სტატიამი ჩვენ განვიხილავთ მეზღვაურთა ფსიქოლოგიური მზადყოფნის სასიცოცხლო კომპონენტებს, მათ შორის სასწავლო ინიციატივებს, მხარდაჭერის სისტემებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსებზე წვდომას. ჩვენ ჩავუღრმავდებით სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება საზღვაო თემებში კეთილდღეობისა და მდგრადობის კულტურის გასაძლიერებლად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეზღვაურები აღჭურვილნი არიან სანაოსნოდ როგორც მშვიდ ზღვებში, ასევე ქარიშხლიან წყლებში.

მეზღვაურთა ფსიქოლოგიური მზადყოფნის პრიორიტეტის მინიჭებით, ჩვენ არა მხოლოდ ვიცავთ მათ ინდივიდუალურ კეთილდღეობას, არამედ ვაძლიერებთ საზღვაო ოპერაციების საერთო ეფექტურობასა და წარმატებას მთელ მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგია, ზღვაოსნობა, მზაობა.

Abstract: The topic - Psychological readiness of seafarers at sea, covers the issue of how many challenges seafarers face in the vast expanse of the ocean, which go beyond the physical demands of their duties. These brave men and women spend part of their lives in rough waters, away from loved ones, ensuring the safety of the ship and her crew, maintaining constant alertness to overcome difficulties.

In the face of these challenges, psychological preparedness is the cornerstone of a sailor's ability. It involves resilience, adaptability and mental toughness to face certain challenges. Sailors must maintain focus, make critical decisions under pressure, and manage stress effectively in high-stakes situations.

In this article, we discuss the vital components of psychological preparedness for seafarers, including training initiatives, support systems, and access to mental health resources. We will go deep into the strategies used to strengthen a sustainability and resilience in maritime communities, ensuring that sailors are equipped to navigate both as in calm seas as in stormy waters.

By prioritizing the psychological readiness of seafarers, we not only protect their individual well-being, but also enhance the overall effectiveness and success of maritime operations worldwide.

Keywords: Psychology, seamanship, readiness.

ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენცია საქართველოში, გამოწვევები და პერსპექტივები

სალომე ქოქოლაძე

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: გელა მამულაძე

პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ელექტრონული კომერცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოვლენა გახდა მთელს მსოფლიოში, რადგან ეს საქმიანობა იყენებს გლობალურ ქსელს - დროითი და მატერიალური დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით. ელექტრონულმა კომერციამ ბიზნესს მისცა შესაძლებლობა იმისა რომ როგორც მომხმარებლებთან, ასევე მომწოდებლებთან და სხვა შესაძლო დაინტერესებულ სეგმენტთან, დაემყარებინა მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც თავის მხრივ, ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებაში აისახა.

ელექტრონული კომერცია გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაც კი გახდა, რადგან დღესდღეობით ბიზნესს აქვს უკვე შესაძლებლობა აირჩიოს მისთვის სასურველი მოდელი. კერძოდ, გაყიდვების სტიმულირებისთვის მას აქვს საშუალება შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი და მასში ჩააშენოს ელექტრონული კომერციის ფუნქციონალი, ან მეორეს მხრივ, გაყიდოს თავისი პროდუქცია ან/და მომსახურება უკვე არსებული ელექტრონული პლატფორმების დახმარებით. ორივე საშუალებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ მათი დახმარებით ბიზნესს შესაძლებლობა აქვს მიწვდეს პოტენციურ მომხმარებლებს, რაც გაყიდვების და კომპანიის ცნობადობის ზრდასთანაა დაკავშირებული.

მართალია საქართველოში არსებული ტენდენციები, სტატისტიკა და გატარებული რეფორმები, გარკვეულწილად დადებითად აისახა ციფრული ბაზრის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ბიზნესისთვის კვლავ რჩება უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი.

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომში განხილულია ელექტრონული კომერციის ზოგადი პრინციპები და ელექტრონული კომერციის ბიზნესს მოდელები საქართველოში არსებულ ელექტრონულ ბიზნესთან მიმართებაში.

შესწავლილია ელექტრონული კომერციის ძირითადი წარმართველი ფაქტორები, და ის გარემოებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ციფრული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი ელექტრონული კომერციის ძირითადი უმსხვილესი მონაწილეების ფინანსური მონაცემები.

ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები თემაში განხილულ საკითხებთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, ელექტრონული ბიზნესი, ციფრული ბაზარი, ბიზნესს მოდელები

Abstract: E-commerce has become one of the important and necessary events around the world, because this activity uses a global network - to avoid time and material costs. E-commerce has given businesses the opportunity to establish close relationships with customers, suppliers and other possible stakeholders, which in turn has reflected in successful business operations.

E-commerce has even become one of the important prerequisites for sales, because today businesses have the opportunity to choose the model they want. In particular, in order to stimulate sales, he has the opportunity to create his own website and build in it the functionality of electronic commerce, or on the other hand, to sell his products and/or services with the help of already existing electronic platforms. Both methods have both advantages and disadvantages, but with their help the business can reach potential customers, which is related to the increase in sales and company awareness.

Although the current trends, statistics and implemented reforms in Georgia have had a positive impact on the formation of the digital market, there are still many obstacles for business.

The present conference paper discusses the general principles of electronic commerce and electronic commerce business models in relation to electronic business in Georgia.

The main driving factors of e-commerce, and the circumstances that should ensure the regulation of the digital infrastructure are studied.

The financial data of the main and largest participants of electronic commerce operating in Georgia have been analyzed.

At the end of the paper, specific recommendations are formulated in relation to the issues discussed in the topic.

Keywords: e-commerce, e-business, digital market, business models

შესავალი

ბოლო წლებში, განსაკუთრებით, კი პანდემიის პერიოდში, გამოიკვეთა ელექტრონული კომერციის საჭიროება, და ამასთანავე პირდაპირპროპორციულად გაიზარდა მოთხოვნა ელექტრონული კომერციის სერვისების მიმართ. ეს მოცემულობა

განპირობებულია იმითაც, რომ ელექტრონული კომერცია ქმნის და აყალიბებს უსაზღვრო შესაძლებლობათა ბაზეს ბიზნესისთვის.

ამრიგად, ბიზნესს მიეცა შესაძლებლობა, მცირე დანახარჯებითა და რესურსების მაქსიმალური ოპტიმიზაციის საფუძველზე, შეეთავაზებინა და მიეწოდებინა პროდუქცია ან/და მომსახურება მომხმარებლისთვის. შესაბამისად, ბიზნესს უწევს ჩაერთოს მძაფრი კონკურენციის პირობებში, რაც მომხმარებლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის საფუძველიცაა.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ამ მიმართულებით მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა, მეტად განპირობებულია თემის აქტუალობაც, შესაბამისად საჭიროებს სათანადო შესწავლას, დასკვნების გამოტანას და რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში ელექტრონული კომერციის არსებული მდგომარეობის ანალიზი, შესაძლო ტენდენციების შესწავლა და პერსპექტივების გამოვლენა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განსაზღვრულია შემდეგი ამოცანების შესრულება:

ელექტრონული კომერციის თეორიული გააზრება;

ელექტრონული კომერციის ბიზნესს-მოდელების მიმოხილვა, ქართულ და საერთაშორისო კომპანიებთან მიმართებაში;

საქართველოში ელექტრონული კომერციის „ინფრასტრუქტურის“ მოწესრიგებისთვის, შესაბამისი წამმართველი ფაქტორების შესწავლა;

ქართული ელექტრონული კომერციის ფინანსური მონაცემების ანალიზი;

შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია ელექტრონული კომერცია, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ელექტრონული ბაზარი.

თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი: ნაშრომი მოიცავს ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტატიებისა და ემპირიული ხასიათის კვლევების მიმოხილვას, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალების დამუშავებას.

ელექტრონული კომერციის თეორიული გააზრება

ელექტრონული კომერცია ეს არის სავაჭრო პროცესი, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას შეიძინონ პროდუქტი ან/და მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით. იგი ასევე მოიცავს ონლაინ საცალო ვაჭრობას და ბრენდებს, რომლებიც ერთის მხრივ, იყენებენ ელექტრონული კომერციის პლატფორმებს, ან საკუთარ ვებსაიტს, რათა განხორციელდეს გადახდები, და პროდუქტმა მიაღწიოს მომხმარებელამდე.

ელექტრონული კომერციის ჩამოყალიბების ისტორია იწყება 1979 წლიდან, როცა მეწარმე მაიკლ ოლბრიხმა შექმნა პირველი ონლაინ შოპინგის ელექტრონული მაღაზია დიდ ბრიტანეთში. ამისთვის კი, ოლბრიხმა სატელეფონო ხაზების საშუალებით, ტელევიზორი დაუკავშირა ცენტრალური ტრანზაქციის პროცესორს. ოლბრიხმა ნათლად დაინახა ელექტრონული კომერციის პოტენციალი და შესაძლებლობები. 1979 წლიდან დღემდე, იქმნება უამრავი მექანიზმი, რომელიც ელექტრონული კომერციის

განვითარებას უწყობს ხელს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი სწორედ Covid 19 იყო, პანდემიის პერიოდში, ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა რაოდენობა დიდი მასშტაბით გაიზარდა. (Panozzo. K., 2021).

ელექტრონული კომერციის ინდუსტრიის, სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ:

ელექტრონული კომერციის გაყიდვები გლობალურ დონეზე, 5 ტრილიონ დოლარს მიაღწევს;

მობილური კომერციის გაყიდვები, 2025 წლისთვის მიაღწევს 728.28 მილიარდ დოლარს, ხოლო ტრანზაქციები მობილური აპლიკაციებიდან გაიზრდება 29%-ით. (Kazinik. B., 2024)

ელექტრონული კომერცია საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა ტიპის მოდელსა და მახასიათებლებს, კერძოდ:

B2B ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებას სხვა ბიზნესისათვის, მაგ: Alibaba, ExxonMobil;

B2C ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს პროდუქტის ან/და მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისთვის, შუამავლის გარეშე, მაგ: Amazon, Aliexpress, Velistore, Isurve, Extra;

C2C ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს პროდუქტის ან/და მომსახურების მიწოდებას ერთი მომხმარებელიდან მეორე მომხმარებელზე, მაგ: Letgo, Amazon, MyAuto, My Market;

C2B ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს პროდუქტის ან/და მომსახურების მომხმარებლისგან, ძირითადად მოიცავს freelance მომსახურებას, მაგ: Upwork, Freelance;

D2C ელექტრონული კომერცია - შედარებით ახალი მოდელია, რომელიც გულისხმობს პროდუქტის ან/და მომსახურების გაყიდვას პირდაპირ მომხმარებელზე, მაგ: Netflix, Dollar Shave Club;

B2A ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს ბიზნესს კერძო კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის;

C2A ელექტრონული კომერცია - ეს მოდელი გულისხმობს მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას. (Pahwa. Aashish, 2023) (BigCommerce, 2023)

ელექტრონული კომერციის ინფრასტრუქტურა საქართველოში

საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები როგორც საწარმოებში, ასევე შინამეურნეოებში, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინტერნეტით უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან ინტერნეტის არ ქონა და/ან დაბალი ხარისხი პირდაპირპროპორციულად აისახება ელექტრონული კომერციის გამოყენებაზე. დღეისათვის, ინტერნეტით ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები, წარმოდგენილია ცხრილ N1-ში. ინტერნეტით უზრუნველყოფა განსხვავდება ქალაქსა (93.1%) და სოფელში (83.4%), მაგრამ ორივე შემთხვევაში, წლიდან წლამდე მზარდი ტენდენცია შეინიშნება. (საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში, 2024).

ცხრილი N1: ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი

	საქართველო	ქალაქი	სოფელი
2016, ივნისი	70,1	79,7	57,4
2017, ივნისი	70,7	81,8	56,2
2018, ივლისი	75,8	84,2	64,8
2019, ივლისი	79,3	86,1	69,9
2020, ივლისი	83,8	90,7	74,5
2021, ივლისი	86,1	91,4	78,9
2022, ივლისი	88,4	92,8	82,4
2023, ივლისი	89,0	93,1	83,4

წყარო: საქსტატი

საინტერესოა ასევე რეგიონულ ჭრილში საკითხის განხილვა. ინტერნეტზე წვდომა განსხვავდება რეგიონების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება თბილისში და აჭარაში, ხოლო ყველაზე დაბალი გურიაში (83.8%) და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებში (74.2%). (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში, 2024).

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
2016, ივნისი	55,9	84,8	58,2	...	...
2017, ივნისი	53,2	84,6	60,2	...	...
2018, ივლისი	63,0	87,5	70,0	...	...
2019, ივლისი	65,3	88,4	74,9	...	...
2020, ივლისი	70,4	93,5	74,6	87,8	82,1
2021, ივლისი	73,6	94,4	79,3	88,6	88,6
2022, ივლისი	83,7	94,8	79,1	90,4	88,0
2023, ივლისი	85,1	94,2	85,0	87,1	91,8

	აპარის ა.რ.	გურია	სამცხრელო- ზემო სვანეთი	იმერეთი*	მცხეთა- მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	დანარჩენი რეგიონები**
2016, ივნისი	75,7	...	64,1	60,9	...	...	63,7
2017, ივნისი	85,3	...	62,2	61,8	...	...	66,2
2018, ივლისი	87,3	...	72,8	68,0	...	...	69,1
2019, ივლისი	89,8	...	74,0	73,0	...	...	76,4
2020, ივლისი	91,9	79,2	77,0	78,1	82,9	52,7	x
2021, ივლისი	94,8	79,7	82,0	80,6	77,8	60,4	x
2022, ივლისი	93,3	84,5	82,1	86,8	76,6	71,6	x
2023, ივლისი	96,2	83,8	84,1	85,7	84,2	74,2	x

წყარო: საქსტატი

საკითხის დეტალურად წარმოჩენისათვის, ასევე წარმოგიდგენთ 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილებას ინტერნეტის გამოყენების დროის მიხედვით.

ცხრილი N2: 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის ბოლო გამოყენების დროის მიხედვით:

		6-14 წლის	15 წლის და უფროსი	15-29 წლის	30-59 წლის	60 წლის და უფროსი
2016, ივნისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	73,8	56,5	89,0	60,6	14,6
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	1,4	1,5	1,1	1,9	1,1
	არასდროს	24,8	42,1	9,9	37,5	84,3
2017, ივნისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	75,1	57,7	89,0	63,6	17,7
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	2,7	1,5	1,2	1,9	1,0
	არასდროს	22,2	40,8	9,8	34,5	81,3
2018, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	77,7	62,2	93,6	71,9	21,7
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	2,1	1,2	0,9	1,6	0,8
	არასდროს	20,1	36,6	5,6	26,5	77,5
2019, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	87,3	68,3	96,2	78,6	27,2
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	1,0	1,2	0,4	1,4	1,4
	არასდროს	11,7	30,5	3,4	20,0	71,4
2020, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	92,2	71,5	97,2	83,8	32,5
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	0,7	1,5	0,4	1,4	2,4
	არასდროს	7,1	27,0	2,4	14,9	65,1
2021, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	91,3	75,4	97,8	87,2	40,3
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	1,8	1,1	0,5	1,3	1,3
	არასდროს	6,9	23,5	1,7	11,5	58,4
2022, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	95,1	77,6	98,7	89,3	42,9
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	0,8	1,2	0,3	1,1	2,1
	არასდროს	4,1	21,1	0,9	9,6	55,0
2023, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	93,0	81,2	98,1	91,2	52,0
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	1,9	2,2	0,9	2,3	3,0
	არასდროს	5,1	16,6	1,0	6,4	45,0

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 15-დან 29 წლამდე საზოგადოების სეგმენტი მეტად იყენებს ინტერნეტს, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც, წლიდან წლამდე მზარდი ტენდენცია შეინიშნება. მიუხედავად პანდემიის პერიოდისა, 60 წლისა და უფრო ასაკის მოსახლეობაში, 2020 წელს ინტერნეტის გამოყენების დაბალი მაჩვენებელია. (ცხრილი N2) (საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის ბოლო გამოყენების დროის მიხედვით, 2024).

ცხრილი N3: 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით:

	15-29 წლის	30-59 წლის	60 წლის და უფროსი
2016, ივნისი			
	24,8	15,7	5,3
2017, ივნისი			
	21,8	15,3	2,7
2018, ივლისი			
	31,8	17,1	5,4
2019, ივლისი			
	32,2	17,3	6,5
2020, ივლისი			
	37,3	17,2	6,5
2021, ივლისი			
	34,6	18,0	9,8
2022, ივლისი			
	37,7	22,0	8,0
2023, ივლისი			
	40,9	30,9	13,0

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილიდან ჩანს, თუ 15-დან 29 წლამდე სეგმენტი ინტერნეტის გამოყენების მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდებმა ონლაინ ვაჭრობა უფრო სწრაფი ტემპით აითვისეს, ვიდრე უფროსმა თაობამ. მართლაც, 15-29 წლის ახალგაზრდების 40.9%-მა შეიძინა საქონელი ან/და მომსახურება 2023 წელს, რაც 3.2 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წელთან შედარებით. ამავდროულად, 30-59 წლის ასაკის მხოლოდ 30.9%-მა და 60+ ასაკის მოსახლეობის 13%-მა შეიძინა ინტერნეტის მეშვეობით 2023 წელს. (ცხრილი N3) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით, 2024)

ელექტრონული კომერციის ბიზნესს გარემოს ინდიკატორების შეფასებაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შესაძლო გამოწვევებთან ბრძოლაში. Covid 19-მა ბიზნესს უზიდავს შეეცვალათ ტრადიციული მიდგომები, და განეხილათ რეზერვები ინფრასტრუქტურა. 2023 წლის მდგომარეობით, ბიზნესს სუბიექტების 84.4%-ს ჰქონდა წვდომა ინტერნეტზე საქართველოში. (ცხრილი N4).

ცხრილი N4: საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა

საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ წვდომა ინტერნეტთან	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
	97,5%	98,4%	98,5%	93,0%	94,0%	95,0%	84,2%	84,4%	94,4%

წყარო: საქსტატი

ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მიუხედავად ინტერნეტთან წვდომის მზარდი სტატისტიკისა, ციფრული ეკოსისტემა მაინც განუვითარებელი რჩება, კერძოდ: ვებ-გვერდის გამოყენებისა და ვებ-გვერდის შესაძლებლობების დონე არის ძალიან დაბალი. ცხრილი N5-დან ჩანს, რომ მეწარმე სუბიექტების მხოლოდ 14,3%-ს ჰქონდა ვებ-გვერდი 2023 წლის მდგომარეობით. მაგრამ ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვებ-გვერდის არსებობისა ფიქსირდება მსხვილ ბიზნესში. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა, 2024).

ცხრილი N5: საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ვებსაიტი/ვებგვერდი

საწარმოთა წილი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
	44,3%	44,7%	40,3%	18,4%	18,4%	19,7%	13,4%	14,3%

წყარო: საქსტატი

სტატისტიკური მონაცემებიდან კარგად ირკვევა, რომ მეწარმე სუბიექტებს, რომელთაც ჰქონდათ ვებ-გვერდი, მაინც დაბალია ვებ-გვერდის შესაძლებლობების მაჩვენებლები. ცხრილი N6-დან ჩანს, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ვიზიტორებისთვის ონლაინ-საქონლის ან მომსახურების მორგების ან დიზაინის ცვლილებებაში და ვებ-საიტის პერსონალიზებული სარჩევი - მუდმივი ან ხშირი ვიზიტორების შემთხვევაში აისახა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ვებსაიტი/ვებგვერდი, 2024).

ცხრილი N6: საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობების განაწილება

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
საქონლის/მომსახურების აღწერა ან ინფორმაცია ფასებზე	28,9%	29,1%	29,9%	26,1%	23,1%	30,0%	33,9%	31,9%
ონლაინ შეკვეთები ან დაჯავშნა (მაგ. საყიდლების კალათა)	13,7%	15,2%	15,3%	15,9%	17,9%	16,3%	17,8%	17,8%
ვიზიტორებისათვის ონლაინ-საქონლის ან მომსახურების მორგების ან დიზაინის ცვლილების შესაძლებლობა	9,1%	9,2%	9,6%	10,7%	9,8%	11,4%	8,8%	9,0%
განთავსებული შეკვეთების თვალისდევნება ან სტატუსი	11,3%	11,5%	10,6%	13,7%	13,4%	13,3%	11,2%	12,0%
ვებ-საიტის პერსონალიზებული სარჩევი მუდმივი ან ხშირი ვიზიტორებისთვის	8,9%	9,6%	9,7%	9,8%	11,8%	10,1%	10,1%	9,9%
საწარმოს სოციალური მედიის პროფილების ლინკები	-	-	-	-	-	18,9%	18,3%	19,5%
კონფიდენციალობის პოლიტიკა, კონფიდენციალობის მტკიცე ან უსაფრთხოების სერტიფიკატი	16,2%	11,7%	11,8%	13,3%	13,5%	-	-	-
მომხმარებელთა მხარდაჭერისთვის ჩატის სერვისი (ჩატბოტი, ვირტუალური აგენტი ან პირი, რომელიც პასუხობს მომხმარებლებს)	-	-	-	-	-	-	-	-
ონლაინ აპლიკაციები (განცხადებები) სამუშაო ვაკანსიებზე	11,8%	13,7%	13,1%	10,5%	10,5%	-	-	-
ვებ გვერდი/ვებ საიტი ხელმისაწვდომია მინიმუმ ორ ენაზე	-	-	-	-	-	-	-	-

წყარო: საქსტატი

ვებ-გვერდის შესაძლებლობების ფუნქციონალის ანალიზში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია კონფიდენციალურობის პოლიტიკა ან უსაფრთხოების სერტიფიკატი,

რომლის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია, ხოლო 2021 წლიდან ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. საინტერესოა იმით, რომ მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანია პერსონალური ინფორმაციის დაცულობა და უსაფრთხოება, გამომდინარე იქედან, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მომხმარებლებებს აღარ აქვთ სურვილი და ინტერესი ონლაინ შეიძინონ პროდუქტი ან/და მომსახურება. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები, 2024).

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ ვებ-გვერდების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი, პირდაპირ აისახა ვებ-გაყიდვებზე. საწარმოს ვებ-საიტით ან აპლიკაციებით გაყიდული პროდუქტისა ან/და მომსახურების პროცენტული წილი არის 3.1%, 2023 წლის მდგომარეობით, ხოლო ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ-საიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე საწარმო იყენებს საქონლის ან/და მომსახურების გაყიდვის მიზნით შეადგინა 1.7%, რაც ნამდვილად დაბალი მაჩვენებელია.

ქართული უმსხვილესი კომპანიები და მათი ფინანსური ანალიზი

საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების თავისებურებების უკეთ წარმოჩენისათვის, განვიხილოთ რამდენიმე კომპანია, რომლებიც ბაზრის უდიდესს ნაწილს იკავებენ.

Top.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით, დღესდღეობით საქართველოში 81 ელექტრონული მაღაზია არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი არ ფუნქციონირებს. ელექტრონული კომერციის გიგანტ კომპანიებს წარმოადგენენ: სს „ექსტრა არეა“ (Extra.ge), შპს „ციტრუსი“ (Citrus.ge) და შპს „სატურნი“ (VeliStore).

როგორც FinSPOT-ის კვლევაშია აღნიშნული, წარმოდგენილი პლატფორმები ძირითად ფოკუსირებულნი არიან B2C მოდელზე. სამივე წარმოდგენილი კომპანია სტარტაპ რეჟიმში ფუნქციონირებენ, რომლებიც ქართულ ბაზარზე 2019-2020 წლებში გამოჩნდნენ, შესაბამისად, გააჩნიათ მათთვის მორგებული მართვის ბიზნესის მოდელი.

კომპანიების ფინანსური ანალიზისთვის FinSPOT-მა 2022 წლის მონაცემები გამოიკვლია. შემოსავლების ზრდის ტემპით VeliStore ლიდერობს, რადგან კომპანია მისდევდა აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას, რაც დადებითად აისახა როგორც კომპანიის ცნობადობაზე, ასევე ecommerce ბაზარზე დამკვიდრებაზე. (Freelancer მარკეტინგი).

კომპანიის საოპერაციო ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება და მარკეტინგი, ვინაიდან საქართველოში ecommerce-ის წილი მთლიან გაყიდვებში საკმაოდ დაბალია, კომპანიებს უწევთ მარკეტინგული ხარჯების გაწევა, კერძოდ:

Extra.ge – 422k; (ლ)

Citrus.ge – 736k; (ლ)

VeliStore – 2.3k მილიონი.

კონკურენტებს შორის ყველაზე დაბალი, 34%-იანი ზრდა Extra.ge-მ დააფიქსირა, ხოლო მაღალი ანაზღაურებისა და მარკეტინგული დანახარჯების გათვალისწინებით, VeliStore ყველაზე ზარალიან კომპანიათა სიას მიეკუთვნება. შედარებით, სასურველ

მდგომარეობაშია Citrus.ge, რადგან მაღალი საერთო მოგების მარჟისა და დაბალი საოპერაციო ხარჯების ფონზე, ყველაზე ნაკლებ ზარალზე მუშაობს, პირველი საოპერაციო წელი, კი მოგებით დახურა. (Commersant, 2023)

საინტერესოა ასევე B2C ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებ-გვერდების ვიზიტორების სტატისტიკა, კერძოდ:

2024 წელს ვიზიტორების საერთო რაოდენობამ Extra.ge-ს შემთხვევაში 521 432 შეადგინა, Bounce Rate მაჩვენებელმა, კი 48.51%, რაც ცუდი შედეგი არ არის;

2024 წელს ვიზიტორების საერთო რაოდენობამ Citrus.ge-ს შემთხვევაში 449 535 შეადგინა, Bounce Rate მაჩვენებელმა, კი 48.85%, რაც ასევე არ არის ცუდი შედეგი;

2024 წელს ვიზიტორების საერთო რაოდენობამ VeliStore-ს შემთხვევაში 609 130 შეადგინა, რაც მარტის თვესთან შედარებით საგრძნობლად დაკლებულია. (919 413) Bounce Rate მაჩვენებელმა, კი 52.31%. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია, რადგან ვიზიტორების რაოდენობა extra.ge-სთან და citrus.ge-სთან მიმართებაში მზარდია.

სამივე კომპანიის შემთხვევაში ვიზიტორების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია, რაც დადებითად აისახება ელექტრონული კომერციის მეტად განვითარებაზე.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული თეორიული და ემპირიული ხასიათის ლიტერატურისა და კვლევების მიმოხილვის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

ელექტრონული კომერცია საქართველოსთვის კვლავ დიდ გამოწვევად რჩება;

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონე შინამეურნეობებში მზარდია წლიდან წლამდე, ელექტრონული კომერციის მდგომარეობა არსებითად არ იცვლება;

ვებსაიტების არსებობის დაბალმა პროცენტულმა მაჩვენებლებმა კიდევ უფრო შეამცირა ვებგაყიდვები, როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილი კომპანიების შემთხვევაშიც;

საწარმოთა ვებსაიტების შესაძლებლობების მაჩვენებლები წლიდან წლამდე თითქმის უცვლელია, რაც ელექტრონული კომერციის ბაზრის აუთვისებლობაზე მიუთითებს;

საქართველოში არსებული უმსხვილესი ელექტრონული მაღაზიები (Extra.ge, Citrus.ge, VeliStore) ცდილობენ ელექტრონული კომერციის განვითარებას შეუწყონ ხელი, მაგრამ ვინ გახდება ბაზრის უმსხვილესი მოთამაშე კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება.

რეკომენდაციები:

მეტად უნდა გაიზარდოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმიწავდომობა;

ბაზრისა და კონკურენტების მუდმივი კვლევა და დაკვირვება;

მიწოდების ჯაჭვის შექმნა;

თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

BigCommerce. (2023, March 13). BigCommerce. Retrieved from BigCommerce Web site: https://www.bigcommerce.com/articles/ecommerce/#h2_the_history_of_ecommerce__a_timeline

Commersant. (2023, ოქტომბერი 28). რომელი კომპანია გახდება ქართული Amazon-ი - ქართული ელ-კომერციის 3 მსხვილი მონაწილის ფინანსური მონაცემები. თბილისი, თბილისი, საქართველო. Retrieved from <https://commersant.ge/news/world/rusetistvis-dronebis-gadatsemis-gamo-ashsh-ma-da-evrokavshirma-irani-daasanqtsires>

Kazinik. B;. (2024, March 24). The History of eCommerce - How it all started. E-commerce, pp. 1-2.

Pahwa. Aashish;. (2023, August 11). Ecommerce Business & Revenue Models Explained. Ecommerce Business Model, pp. 1-3.

Panozzo. K;. (2021, September 1). How Michael Aldrich created online shopping: The origins of ecommerce. Who created online shopping?, pp. 1-2.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით. თბილისი: საქსტატი. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის ბოლო გამოყენების დროის მიხედვით. თბილისი: საქსტატი. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეოებში. თბილისი: საქსტატი. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები. თბილისი: საქსტატი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ვებსაიტი/ვებგვერდი. თბილისი: საქსტატი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა. თბილისი: საქსტატი.

**ჰუმანიტარული, სოციალური და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები /
humanitarian, social and natural sciences**

Idioms as an important aspect of language

ნიკოლოზ კაკაბაძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ლუკა დუმბაძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

თორნიკე კახაძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: თამარ ღიასამიძე

ასოცირებული პროფესორი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

Abstract

English is considered to be not only the most popular and demandable language in the world but also one of the most beautiful languages. Moreover, the English language is particularly rich in lexis. Without doubt, idioms play a great role in the enrichment of the English language. Idioms represent unique cultural and historical information as well as broaden people's understanding and manipulation of English.

Idioms are a unique aspect of language that adds color and personality to speech and writing. Using idioms correctly can help to enhance your communication skills, demonstrate cultural knowledge, and improve your language fluency.

Idioms enhance communication skills

Idioms help to demonstrate cultural knowledge

Idioms help to improve English fluency

Idioms are a critical aspect of English language fluency. They add depth and nuance to conversations and communication, allowing for more effective and compelling expressions. By employing the tips outlined above, you can learn and master the most important idioms to improve your language skills and understanding of English culture and history.

English idioms are an important aspect of language that can greatly enhance communication. They can help convey meaning more efficiently, build rapport and establish common ground, and demonstrate language proficiency and cultural awareness.

Keywords: effective communication, language skills, verbal, nonverbal communication. culture.

აბსტრაქტი: ინგლისური მსოფლიოში არა მხოლოდ ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად ენად, არამედ ერთ-ერთ ულამაზეს ენად არის მიჩნეული. ენის სიმდიდრესა და სილამაზეს, ასევე სიღრმესა და მრავალფეროვნებას ენაში არსებული ხატოვანი გამონათქვამები, ანუ იდიომები განსაზღვრავს. ენის ცოდნის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად იდიომების გააზრებაა.

იდიომები წარმოადგენს ენის უნიკალურ ასპექტს, რომელიც უფრო მრავალმხრივს ხდის როგორც ზეპირ, ასევე წერით კომუნიკაციას.

იდიომები აძლიერებენ კომუნიკაციის უნარს.

იდიომები კულტურული ცოდნის დემონსტრირებას უწყობს ხელს.

იდიომები ხელს უწყობენ ინგლისურის სრულყოფილად ფლობის გაუმჯობესებას.

ინგლისური იდიომები არის ენის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კომუნიკაცია. მათ შეუძლიათ ენა უფრო ეფექტურად დაეხმარონ მნიშვნელობის უფრო ეფექტურად გადმოცემას, ურთიერთობის დამყარებას და საერთო ნიადაგის დამყარებას, აგრეთვე ენის ცოდნისა და კულტურული ცნობიერების დემონსტრირებას.

საკვანძო სიტყვები: ეფექტური კომუნიკაცია, ენობრივი უნარები, კულტურა, ვერბალური, არავერბალური კომუნიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

Corelli, L. (2005). Idioms: Piece of Cake or Hard Nut to Crack? (without source).

Flowler, H. Dictionary of Modern English Usage. (without source).

Gillett, A. (2004). Speak English like an American. Learn the idioms and expressions that will help you speak like a native. Language Success Press.

Johnson, A. Action Research. Pearson. (without source).

Niergarth, E. (2007). The Idiom book 1010 idioms. (without source).

Nunan, D. (2003). Practical English Language Teaching. New York: McGraw Hill.

Scott, W., and Ytreberg, L. (2000). Teaching English to Children. New York: Longman.

1924 წლის აჯანყება სისხლით ჩახშობილი თავისუფლება

რეზი რობაქიძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნაირა ტაბიძე

პროფესორი, ისტორიის დოქტორი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

„მწერლობა გმირობის გამოსარჩლებათა, მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი“- წერს კონსტანტინე გამსახურდია. სწორედ „მიჩქმალულ“, საბჭოთა რეჟიმის მიერ დახვრეტილ და გადამალულ გმირებზე გიამბობთ ნაშრომი „1924 წლის სახალხო აჯანყების გმირები“

მე-20 საუკუნის 1987 – 1990 წლების ეროვნულ - განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ამ მოძრაობის ლიდერებმა ქართველ ერს ისტორიის ახალი ფურცლები გადაუშალეს და საზოგადოებისთვის ნათელი გახადეს ის ფაქტები და მოვლენები, გმირთა სახელები, რომელთაც საგულდაგულოდ მალავდა საბჭოური ხელისუფლება, მათ შესახებ თვით ისტორიკოსებმაც კი არ იცოდნენ. ინფორმაცია, რომელიც, საბედნიეროდ, ვიწრო საზოგადოებამ შემოინახა.

ჩემი ნაშრომის მიზანი, ერთგვარი მცდელობაა, შევავროვო მეტი ინფორმაცია 1924 წლის სახალხო აჯანყების გმირებზე და ერთად მოვუყარო თავი. ნაშრომის დაწერის სურვილი გამიჩინა საგანმანათლებლო ლიტერატურაში, ვგულისხმობ სასკოლო წიგნებს, არსებულმა ინფორმაციულმა სიმწირემ, ამიტომ გადავწყვიტე უფრო ახლოს გავიცნო და გავაცნო სხვებს საამაყო წინაპრები. გმირები, რომლებიც წლები ემზადებოდნენ საქართველოში ყველაზე მასშტაბური სახალხო აჯანყებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთები რეჟიმმა მანამდე გამოასალმა წუთისოფელს.

1923 წლის 19 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიების ერთობლივმა სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ: ეპიფანე კვანტალიანი, ლავრენტი ბერიძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიაშვილი, „სამხედრო ცენტრის“ წევრებს „დაუმტკიცა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, ბანდიტური მოძრაობის შექმნა და ანტანტის სასარგებლოდ შპიონაჟი და სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, შეუფარდა. 1923

წლის 21 მაისს დილის 4 საათსა და 30 წუთზე თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ჩეკისტებმა დახვრიტეს სამხედრო ცენტრის 15-ივე წევრი: 1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, გენერალი კოტე აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, 3. გენერალი ვარდენ წულუკიძე, 4. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, 5. პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, 6. პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, 7. პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, 8. პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი, 9. როტმისტრი სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი, 10. როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი, 11. ლეიტენანტი ლევან (ლელა) კლიშიაშვილი, 12. სამხედრო მოხელე ნიკოლოზ ზანდუკელი, 13. იასონ კერესელიძე, 14. სიმონ ჭიაბრიშვილი, 15. ივანე ქუთათელაძე. თუმცა, არც მაშინ გადარჩენილებს დასდგომიათ კარგი დღე, 1924 წლის აგვისტოში აჯანყება სისხლში ჩაახშვეს, მას უამრავი ადამიანი შეეწირა, სწორედ ეს აჯანყება იქცა მიხეილ ჯავახიშვილის შთაგონებად „ჯაყოს ხიზნებზე“, მუშაობისას, ამ ფორმით გააპროტესტა მან „წითელი ეშმაკის“ არსებობა და შეეწირა კიდევ.

ვფიქრობ, საკონფერენციო ნაშრომი საინტერესო იქნება, უფრო ახლოს გაგვაცნობს გმირებს, რომლებზეც დგას ქვეყანა და რომლებიც არ იმსახურებენ ჩრდილში ყოფნას.

საკვანძო სიტყვები: 1924 წლის აჯანყება, რეპრესია სამხედრო ცენტრი.

საქმიანი ეტიკეტის თავისებურებანი და ძირითადი პრინციპები

გიორგი დოღობერიძე

ბაკალავრი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნათია მიქელთაძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქმიანი ეტიკეტის ცოდნა და მისი წესების განუხრელად დაცვა სრულფასოვანი ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. ამ ტიპის ცოდნა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როცა საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობაზე ვსაუბრობთ. საერთაშორისო საქმიანი შეხვედრებისთვის მზადების პროცესში, აუცილებელია, შევისწავლოთ მასპინძელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ნორმები, დრეს-კოდის თავისებურებები, ტაბუდადებული სასაუბრო თემები და ჟესტიკულაციის წესები.

საერთაშორისო კომუნიკაციის ეტიკეტს გააჩნია როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი პრინციპებიც, რომლებიც საერთოა ბიზნეს-კომუნიკაციის ყველა სუბიექტისათვის.

ჩვენს მოხსენებაში შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ საქმიანი კომუნიკაციის ეტიკეტის როგორც ზოგად წესებზე, ისე, გარკვეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ასპექტებზეც.

ყოველი კომუნიკაცია იწყება მისალმებით. უნივერსალურ სიტუაციაში, მისალმება არ წარმოადგენს რთულ კომპონენტს და საყოველთაოდ მიღებული ლექსიკური კომპლექსიტა და ჟესტიკულაციით გამოიხატება, თუმცა, საერთაშორისო კომუნიკაციის განხორციელებისას, არსებით მნიშვნელოვან იძენს ყველა ჟესტი, მისალმების ფორმა და ხმის ტემბრიც კი.

ამგვარი და სხვა დეტალები განსაზღვრავენ კომუნიკაციის წარმატებასა და ბიზნეს-ურთიერთობისათვის ხელსაყრელი საძირკვლის ჩაყრას, კომფორტულს ხდიან საქმიან ურთიერთობებს და რაც მთავარი, აძლევენ კომუნიკაციის სუბიექტებს საშუალებას, საუკეთესო ჭრილში გამოაჩინონ საკუთარი ქვეყნის კულტურა, ურთიერთობათა ეთიკა და საკომუნიკაციო უნარების დონე.

საკვანძო სიტყვები: საქმიანი კომუნიკაცია, ეტიკეტი, საერთაშორისო კომუნიკაცია, ბიზნეს-ურთიერთობების ეთიკა.

„ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორია XIX საუკუნის ჩათვლით

მარიამ წიქარიძე

ქართული ლიტერატურის მაგისტრი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: მარინა ცერცვაძე

პროფესორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ავტორი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საუბრობს XVII საუკუნეში მეფე-პოეტი არჩილ II-ს (1647-1713). პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ იგი შედარებითი ანალიზის საფუძველზე აკეთებს შემდეგ დასკვნებს. აღნიშნული პოემა შოთა რუსთაველის გარდაცვალებიდან საუკუნეების შემდეგ დაიწერა, თუმცა მისმა ავტორმა იცის, რასაც უპასუხებდა პოეტი თეიმურაზს საზოგადოდ მნიშვნელოვან საკითხებზე. ვფიქრობთ, მისი ამგვარი დამოკიდებულება სწორედ პოემის ღრმა ცოდნამ გამოიწვია. მოცემულ ნაწარმოებში არჩილ II აყალიბებს, როგორც თავის პრინციპებს, ამავედროულად ეწინააღმდეგება შინაარსისგან დაცლილ ნაწარმოებს. არჩილ II იყო პირველი ვინც განსაზღვრა „მართლის თქმის პრინციპი“, იგი ეწინააღმდეგებოდა ლიტერატურაში ზღაპრულ მეტყველებას, რადგან არაფრის მომცემად მიაჩნდა, სწორედ ამიტომ წერს პოემას „გაბაასებას თეიმურაზისა და რუსთაველისა“ იგი მიიჩნევდა, რომ შოთა რუსთაველს სიბრძნით სავსე ნაწარმოები ჰქონდა დაწერილი, ხოლო თეიმურაზის შემოქმედებას სიბრძნე აკლდა, ამავედროულად, ეწინააღმდეგებოდა ლექსის რითმის გაიდიალებას, რადგან მისი აზრით, რითმაზე ვარჯიში ვერაფერს შემატებდა ლიტერატურას, ამგვარი მსჯელობით პოეტი ლიტერატურის თეორიის საკითხების გააზრებამდე მიდიოდა. გაბაასების შესავალ ნაწილში გვამცნობს თავის მოსაზრებებს ნაწარმოების შინაარსობრივ და აზრობრივ ერთიანობასთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ აუცილებელია ნაწარმოები ლოგიკურად ვითარდებოდეს, და არ უარყოფს მის ესთეტიკურ მხარეს, ერთმანეთს უნდა ავსებდეს შინაარსი და მისი, ლექსის, სილამაზე.

მე-20 საუკუნეზსი პოემას ქართველი მწერლებიც იკვლევდნენ და მის შესახებ პუბლიცისტურ წერილებს წერდნენ, მე შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ყველა ის მწერალი, რომელმაც კვალი დატოვა პუბლიცისტიკის ისტორიაში

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“ პუბლიცისტიკა; შესწავლის ისტორია.

ტყვეებით ვაჭრობის ისტორიული ნარატივი ა. ფურცელაძის „მაცი ხვითაში“

გიორგი გელაძე

ბაკალავრი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცირა აწკარუნაშვილი

ბაკალავრი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: თამარ გოგოლაძე

დოქტორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

1872 წელს ჟურნალ მნათობში იბეჭდება ქართველი მწერლის ანტონ ფურცელაძის (1839-1913) რომანი „მაცი ხვითა“, რომელიც ავტორმა შექმნა 1867- 1869 წლებში ზუგდიდში სასამართლოს გამომძიებლად მუშაობის პერიოდში. მაცი ხვითას მოქმედება გაშლილია, ძირითადად, სამეგრელოს სამთავროების (ოდიშისა და სამურზაყანოს) ფონზე. აშკარაა ავტორი, ანტონ ფურცელაძე კარგად იცნობდა სამეგრელოს ადგილობრივი თუ უცხოური ისტორიული წყაროებით, როდესაც მიმდინარეობდა მთავრებს შორის ბრძოლა პირველობისათვის და ოსმალეთის წინაშე თავის გამოჩენისათვის. ამ მიზნით მთავრები და მასთან დაახლოებული აზნაურები ხშირად ვაჭრობდნენ სამეგრელოს ქართველი ქალ-ვაჟებით.

მოხსენების მიზანია ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით (რაც კარგად შეისწავლა ავთანდილ კილასონიამ, ნაშრომში „ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში“) წარმოვადგინოთ როგორ მიმდინარეობდა ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში. ტრაპიზუნის სამეფოს დაპყრობის შემდგომ (1461 წლიდან) ოსმალეთი ცდილობს თავის ლუკმად გაიხადოს დასავლეთი საქართველოს სამთავროები. ოდიშისა და სამურზაყანოს მთავრების გააფთრებული ქიშპობის ფონზე კარგად იკვეთება რომანში ძალაუფლებისმოყვარე მთავრის, გურანდუხტას სახე, რომელიც იყენებს აბრაგ აზნაურს ომარ მარტანიას თავისი სურვილების აღმსრულებლად. სწორედ მისი საშუალებით მიჰყავთ ტყვე ქართველი ქალ-ვაჟები სულთნის კარზე.

ნაწარმოებში ალეგორიულად წარმოდგენილია რუსეთის იმპერიის ნაცვლად ბიზანტიის სახელმწიფო და მისი კეისარი. აღნიშნული საკითხები განხილული იქნება

ჩვენს მიერ ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული ფანტაზიის შედარების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ტყვეებით ვაჭრობა, ოდიში სამურზაკანო.

Abstract: In 1872, the novel "Matsi Khvitia" by the Georgian writer Anton Furtzeladze (1839-1913) was published in "Mnatobi" magazine. The author had written abovementioned work during his work as a court investigator in Zugdidi during 1867-1869. The action in this book takes place mainly in the realms of Samegrelo (Odishi and Samurzakano). It is obvious that the Author, Anton Furtzeladze, was quite familiar with Samegrelo through the local and foreign historical sources, when the confrontation for supremacy between the heads of feudal families were taking place. This is also a period when they were trying to show their power to Ottomans in order to get privileges. For this purpose, the noble families often traded young Georgian women a man from Samegrelo.

The purpose of this report is to determine how the Slave Trade took place in Georgia in the XVI-XVII centuries. We mainly base our discussion on historical documents, that were well studied by Avtandil Kilasonia in his work "Trafficking in Georgia".

After the conquest of the Kingdom of Trabizon (since 1461) Ottomans tried to make the realms of Western Georgia their next victims.

It is apparent in the novel that against the background of the combat between the heads of Odishi and Samurzakano realms, the power enthusiast royal head Gurandukhta uses a robber - Omar Marghania to reach his goals. It is through him that captured Georgian youngsters are brought to Ottoman Sultans. In the work, instead of the Russian Empire, the Byzantine state and its Caesar are allegorically represented. The above-mentioned topics will be discussed by us on the basis of comparison of historical reality and artistic fantasy.

Key words: Slave Trade, Samurzakano, Odisha

ჯანჯაფილი - უნივერსალური ინგრედიენტი მედიცინასა და კულინარიულ ინოვაციებში

ნანა გიორგელაშვილი

ბაკალავრი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ლალი ელანიძე

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ჯანჯაფილი ანუ კოჭა (*Zingiber officinale*), როგორც ბუნებრივი ნედლეული და ჯანჯაფილის ეთერზეთი, გამოირჩევა მაღალი ბიოლოგიური აქტივობით. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, კოჭაში შემავალი არომატწარმოქმნელი ნივთიერებები, ფენოლურ ნაერთებთან და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან ერთად განაპირობებს ჯანჯაფილის მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას და, შესაბამისად, მის ფართო გამოყენებას მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის დროს, მაგალითად, როგორიცაა რევმატიoidული ართრიტი. დაკვირვებამ აჩვენა, რომ რევმატიoidული ართრიტით დაავადებულ ადამიანებზე, ჯანჯაფილის ეთერზეთმა, როგორც დამატებითმა ბუნებრივმა საშუალებამ მედიკამენტოზური მკურნალობის დროს, დადებითად იმოქმედა ანთებითი პროცესის სიმწვავესა და სიმძირეზე, შეშუპებასა და ტკივილზე, რის შედეგადაც გაუმჯობესდა დაავადებული ადამიანების ზოგადი მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი. ამის გარდა, ნაშრომში წარმოდგენილია ჯანჯაფილის ლიქიორისა და ჯანჯაფილის კარაქის ორგანოლეპტიკური ანალიზი, შედეგმა ცხადყო, რომ ჯანჯაფილი მნიშვნელოვანი ნედლეულია, როგორც სენსორული თვალსაზრისით, ასევე, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყარო კულინარიაში და ლიქიორის დამზადებისას.

საკვანძო სიტყვები: ჯანჯაფილი, ეთერზეთი, ჯინჯეროლი, ბიოლოგიური აქტივობა, ჯანჯაფილის კარაქი.

Abstract: *Zingiber officinale* ("janjafili" or "kocha" – Geo.) as natural Raw materials and ginger essential oil, is known for its high biological activity. Based on literary sources, ginger's Aroma-forming substances, phenolic compounds and others Together with biologically active

substances, determines ginger's High biological activity and, accordingly, its extensive use in medicine During the treatment of various diseases, for example, such as Rheumatoid arthritis. Observation showed that ginger essential oil as a natural supplement remedy during medical treatment of rheumatoid arthritis, positively affected the severity and frequency of the inflammatory process, swelling and pain, as a result of which the general condition of the sick people and quality of life improved. In addition, the conference paper presents The organoleptic analysis of ginger liquor and ginger butter which revealed ginger is an important raw material, from a sensory point of view and also is a biologically active Source of substances in cooking and liquor making.

Keywords: ginger, essential oil, gingerol, biological activity, ginger butter.

შესავალი

ჯანჯაფილი (*Zingiber officinale*), იგივე კოჭა წარმოადგენს ჯანჯაფილისებრთა ოჯახის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს რთული, ძლიერ დატოტვილი ჰორიზონტალური ფესურით, საიდანაც ვითარდება რამდენიმე ღერო. მცენარის ფოთლები მორიგეობითია, ვაგინიანი, მოგრძო-ლანცეტა ფირფიტით, რომელიც 18-20 სმ სიგრძისაა და ქვედა მხარე ცენტრალურადაა დაძარღვული. ჯანჯაფილის ღერო სწორმდგომია, წვერზე უვითარდება თავთავისებრი ყვავილელი, რომელიც მომწვანო-მოყვითალო ან მოიასამნისფეროა. ყვავილები, რომელთა სიგრძე 5-8 სმ-ია და სიგანე 2.5 სმ, მოთავსებულია ფართო თანაფოთლების უბეებში, ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, მილისებრი. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია. ჯანჯაფილის სამშობლოდ ითვლება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტენიანი ტროპიკული ტყეები (ბიძინაშვილი, ერაძე, 2021; <https://www.britannica.com/plant/ginger>).

ჯანჯაფილის გამოყენება სათავეს იღებს 5000 წლების წინ და მისი სახელი მომდინარეობს ძველი სანსკრიტული სიტყვიდან “singabera”, რომელიც ნიშნავს- „რქის ფორმის“. კოჭა პირველად ნახსენები იყო ჩინელი ფილოსოფოსის, კონფუციუსის, ნაშრომში ჩვ.წ-მდე V საუკუნეში. კონფუცუს ყოველთვის თან ჰქონდა ჯანჯაფილი, რადგან ჩინეთში მას იყენებდნენ საჭმლის მომნელებელი პროცესების გასაუმჯობესებლად. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ჯანჯაფილს ჰქონდა აფროდიზიას რეპუტაცია, რის გამოც მას ხმარობდნენ სასიყვარულო რიტუალებსა და სხვადასხვა ნაყენების დასამზადებლად (© 2024 Grasmere Gingerbread. <https://www.grasmeregingerbread.co.uk/ginger> ; Alice White, 2017 ; Juliana Harsianti, 2018). გარდა ამისა, აიურვედას მედიცინაში კოჭა მოხსენიებულია როგორც „mahaoushadha“ და „vishwabheshaja“, რომელიც ნიშნავს „საუკეთესო წამალი“ და „უნივერსალური მკურნალი“ (Alice White, 2017).

მცენარის სამკურნალო თვისებები პირველად აღმოჩენილი იქნა ჩინეთში ჩვ. წ -მდე 4500 წელს. ამასთან, ძველ ეგვიპტელებს ეკუთვნით პირველობა მცენარეებიდან ეთერზეთების მიღებისა, რომლებსაც სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ. შემდგომ, მედიცინა დაიხვეწა და უფრო ეფექტური გახდა სინთეზური მედიკამენტებით მკურნალობა. მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნის მედიცინა განვითარებულია,

არსებობს ქრონიკული დაავადებები, რომელთა განსაკუთრებლად იყენებენ ფიტოსაშუალებებს, როგორიცაა: მცენარეული ეთერზეთები, ნაყენები და სხვა. არ არსებობს ისეთი დაავადება, რომელიც არ ექვემდებარება ფიტოთერაპიას. ამიტომაც, დღევანდელობაში ჯანჯაფილი თავისი უნიკალური თვისებებით დიდად ფასობს მედიცინაში.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე, კოჭა ითვლება სამკურნალო მცენარედ, რაც დასტურდება ყურანით, ისლამით, აიურვედას, ავიცენასა და კონფუციის ნაშრომებით. ისლამში წერია, რომ თაფლთან შერეული ჯანჯაფილის სამი ნაჭერის მირთმევა მდოგვიან საჭმელთან ერთად, კარგი საშუალებაა მენსიერების გაძლიერებისთვის (Hamed Fathi, et al., 2021).

ჯანჯაფილის ფესურას ცხარე, ციტრუსოვანი არომატი განპირობებულია მის შემადგენლობაში არსებული არომატწარმოქმნელი ნაერთების არსებობით, როგორიცაა: ჯინჯეროლი (6-ჯინჯეროლი), შოგაოლი, ზინგერონი, α -კურკუმენი, სესკვიტერპენელინგიბერინი, ლინალოლი, გერანიოლი და სხვა. არომატწარმოქმნელები, ტერპენოიდული შენაერთებთან, ფენოლურ და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან ერთად განსაზღვრავს ჯანჯაფილის ბიოლოგიურ აქტიურობას და შესაბამისად, მის მნიშვნელობას სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოყენების თვალსაზრისით. ამის გარდა, კოჭას ფესურა გამოიყენება კვების მრეწველობაში, საკონდიტრო და ლიქიორ-არყის წარმოებაში, ასევე არომათერაპიასა და კოსმეტოლოგიაში.

ჯანჯაფილს თანამედროვეობაშიც ფართოდ გამოიყენებენ, როგორც მედიცინაში, ასევე კვების მრეწველობაში, კოსმეტოლოგიასა და არომათერაპიაში. კოჭასგან დამზადებული პრეპარატები-ნაყენები, ექსტრაქტები და ეთერზეთები, ფართოდ გამოიყენება მედიცინაში: ანთების და ტკივილის, შაქრიანი დიაბეტის, ასთმის, დემენციის, კიბოს, წყლულოვანი კოლიტის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მაღალი ქოლესტერინის, გაციების, შაკიკის, ჰიპერტენზიისა და სხვადასხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობის სამკურნალოდ. ჯანჯაფილისგან დამზადებულ პრეპარატებს გააჩნიათ ადამიანის ორგანიზმზე ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიკარცენოგენური, ანტისეპტიკური და დამამშვიდებელი მოქმედება. ჯანჯაფილს ფართოდ იყენებენ რევმატოიდული ართრიტის სამკურნალოდ (Long Z. et al., 2023; Szymczak J, et al., 2024). იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ჯინჯეროლს, რომელიც სისხლში C-რეაქტიული ცილის (CRP) დონეს წევს დაბლა. ამის გარდა, ეს კომპონენტი დადებითად მოქმედებს დიაბეტით დაავადებულ ადამიანებზეც, კერძოდ, იწვევს ორგანიზმში გლუკოზის დონის შემცირებას და გლიკოგენის სინთეზის ზრდას (Iris F., 2011). მეცნიერულად დადასტურებულია ჯანჯაფილის ფესვის დადებითი შედეგი ონკოლოგიური დაავადების დროს ქიმიოთერაპიის კურსის უკუჩვენების შესამცირებლად (Guler Balci Alparslan, et al., 2012).

ჩინელებმა საუკუნეების წინ დაიწყეს ჯანჯაფილის გამოყენება ხალხურ მედიცინაში იმუნური სისტემის გაძლიერებისთვის, ინსომნიას, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ასთმის და დიაბეტის სამკურნალოდ. ძირითადად ხალხურ მედიცინაში

იყენებენ კოჭას ნაყენებს, ჩაის სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებთან და თაფლთან ერთად, და, რა თქმა უნდა, მისგან დამზადებულ ეთერზეთს.

ჯანჯაფილი დაახლოებით 115 ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტს შეიცავს. იგი შეიცავს 1-2% ეთერზეთებს, მის მთავარ შემადგენელ ნაწილს ცინეოლის გარდა წარმოადგენს სესკვიტერპენელინგიბერინი (70%), რომლისთვისაც დამახასიათებელია სასიამოვნო სურნელი, აგრეთვე სესკვიტერპენინი-ბიზაბოლენი, ლინალოლი, გერანიოლი და სხვა ტერპენოიდული შენაერთები. ამის გარდა, მცენარის ფესურა დიდი რაოდენობით შეიცავს ფენოლურ ნაერთებსაც (ჯინჯეროლი, შოგაოლი და პარადოლი), კალციუმს, რკინას, D ვიტამინს, მაგნიუმს, კალიუმს, ნატრიუმს და სხვა (Iris F.,2011; ბიძინაშვილი, ერაძე, 2021).

კოჭას შემადგენლობაში შემავალი ჯინჯეროლი და ჯინჯეროლის ნაერთები ხასიათდებიან- ანტიოქსიდანტური, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი, ასევე ანტიმიკრობული აქტივობით. ხოლო შოგაოლი კი- ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, კიბოს საწინააღმდეგო და პროლიფერაციის საწინააღმდეგო აქტივობით (Zagórska J, et al.,2023). ბიოაქტიურ კომპონენტთა რაოდენობრივი შემადგენლობა დამოკიდებული თუ რომელ ქვეყანაშია კულტივირებული და ასევე, ახალია, თუ გამომშრალი ჯანჯაფილი (Iris F.,2011).

ჯანჯაფილს გარდა მედიცინისა, ფართოდ გამოიყენებენ კვების მრეწველობაში, თავისი სპეციფიკური გემოს, არომატისა და ფერის გამო- საკონდიტრო, ლიქიორ-არყის, რძის ნაწარმის, ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. კულინარიაში მას იყენებენ ჯანჯაფილის პუდინგის, ორცხობილების, ხორცის, თევზის, ბოსტნეულის რაგუს და სხვა მრავალი კერძის მოსამზადებლად. არომატის, გემოსა და ფერის გარდა, კოჭა საკვებ პროდუქტებს ამდიდრებს ანტიბაქტერიული ფუნქციით, რაც ხელს უშლის ადამიანის ორგანიზმში პათოგენური ბაქტერიების განვითარებას.

ჯანჯაფილს ადამიანი მოიხმარს ნატურალური, დაფუჭილი, დამარიანებული ან ეთერზეთის სახით. კოჭაში ეთერზეთის კონცენტრაცია იზრდება მის მომწიფებასთან ერთად, ამიტომ რეკომენდებულია მოსავლის აღება 9 თვის შემდეგ. დამარიანებული სახით ფართოდ იყენებენ აზიურ კულინარიაში, განსაკუთრებით, სუშისთან ერთად. დაფუჭულს და ნატურალური სახით კი იყენებენ ჩაის დასამზადებლად, ასევე ბევრი ადამიანი მიირთვმევს რძესთან ერთად (Iris F.,2011).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიცინაში, კვების მრეწველობაში, არომატერაპიასა და კოსმეტოლოგიაში აქტუალური და მნიშვნელოვანია ჯანჯაფილის გამოყენება. ამის საფუძველზე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, სახლის პირობებში ჯანჯაფილის ეთერზეთის, კარაქის და ლიქიორის დამზადება და ექსპერიმენტის სახით, ჯანჯაფილის ეთერზეთის გამოყენება, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება.

კვლევის ობიექტები და შედეგები

ეთერზეთის დასამზადებლად გამოვიყენეთ ნედლი ჯანჯაფილი და ორგანული გამსხნელი, ჩვენს შემთხვევაში ზეითუნის ზეთი, თუმცა შეიძლება ასევე ქოქოსის, ყურძნის წიპწის, ავოკადოს ზეთის გამოყენებაც. ზეითუნის ზეთს დავუმატეთ კარგად დაქუცმაცებული ჯანჯაფილი, გადავიტანეთ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში, რათა

არ მომხდარიყო არომატული ნივთიერებების დანაკარგი და მოვათავსეთ წყლის აბაზანაზე. გავაჩერეთ 2-3 საათი და გაგრილების შემდეგ, მოვათავსეთ მშრალ, გრილ, მზის სხივებისგან დაცულ ადგილზე ორი კვირის განმავლობაში.

მოხდა ჯანჯაფილის ეთერზეთის ორგანოლეპტიკური შეფასება, იგი არის მოყვითალო შეფერილობის, მსუსხავი, მწველი გემოთი, ჯანჯაფილისთვის დამახასიათებელი სპეციფიური სუნით და ციტრუსოვანი არომატით (ცხრილი 1).

მიღებული ეთერზეთი გამოვიყენეთ ექსპერიმენტის ჩასატარებლად, რითაც შევაფასეთ თუ რამდენად ეფექტურად მოქმედებს იგი აუტოიმუნურ დაავადებაზე, კერძოდ კი რევმატოიდულ ართრიტზე.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ჯანჯაფილი დადებითად მოქმედებს რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ადამიანებზე, კერძოდ, ამცირებს ანთებით პროცესს ორგანიზმში და შესაბამისად, სახსრების შეშუპებას და სიწითლეს (K.C. Srivastava, et.al., 1992; Srivastava K.C, et.al., 1989).

მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს:

მაგალითი 1. დაკვირვების ობიექტს დაავადება პირველად 13 წლის ასაკში დაუდგინდა, იუვენილური რევმატოიდული ართრიტი. ამჟამად არის თვრამეტი წლის, სიმაღლე-172 სმ, წონა-55 კგ, C-რეაქტიული ცილა (CRP) სისხლის შრატში, რაოდენობრივი -11.540 მგ/ლ (ნორმა <5.000) და აღენიშნებოდა ორივე მუხლის შეშუპება. დაავადებული ადამიანი 1 თვის განმავლობაში ყოველდღიურად იკეთებდა მასაჟებს ჯანჯაფილის ეთერზეთით და დამატებით ღებულობდა 1,5 გრამ ჯანჯაფილის ნაყენს. ერთი თვის შემდეგ, კვლევის ობიექტის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, შეშუპება შემცირდა და C-რეაქტიული ცილის რაოდენობაც შემცირდა.

მაგალითი 2. 75 წლის, ბევრი წელია აწუხებს რევმატოიდული ართრიტი ხშირი გამწვავებებით. მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად იყენებს გარეგანი მოხმარებისთვის ჯანჯაფილის ზეთის საფენებს დღეში ორჯერ. დაკვირვების ობიექტს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა ზოგადი მდგომარეობა, შემცირდა გამწვავებების ეპიზოდები და სიმძიმე. შედარებით გაუმჯობესდა ლაბორატორიული მონაცემებიც.

მაგალითი 3. 38 წლის, რევმატოიდული პოლიართრიტის დიაგნოზით. წამალსამკურნალო საშუალებებთან ერთად აქტიურად იყენებს ჯანჯაფილის თბილი ეთერზეთის კომპრესებს სახსრების ანთების გამწვავების დროს, რითაც მცირდება ანთების სიხშირე და სიმძიმე, სახსრების სიწითლე, შეშუპება და ტკივილი.

მაგალითი 4. 45 წლის, აწუხებს რევმატოიდული ართრიტი, სახსრების შეშუპებით, ტკივილით და მოძრაობის შეზღუდვით. მედიკამენტოზური მკურნალობის პარალელურად, დღეში 2-3 ჯერ იკეთებს ჯანჯაფილის ზეთის საფენებს, ხოლო დღეში ერთხელ - მსუბუქ მასაჟს თბილი ჯანჯაფილის ზეთით. დაკვირვების ობიექტს სახსრების შეშუპება შემცირდა, ტკივილიც შემცირდა და შესაბამისად მოძრაობის პრობლემაც გაუმჯობესდა.

მაგალითი 5. 52 წლის, რევმატოიდული პოლიართრიტის დიაგნოზით. დაავადების რემისიის პერიოდში ჯანჯაფილის ზეთს იყენებდა სახსრების მსუბუქი მასაჟისთვის და კვირაში 1-2-ჯერ თბილი ზეთის კომპრესის სახით. დაკვირვების ობიექტს რემისიის

პერიოდი საკმაოდ გაუხანგრძლივდა, მოძრაობის პრობლემა და ტკივილი შესამჩნევად შეუმსუბუქდა და დაზიანებული სახსრების სიწითლე მნიშვნელოვნად შემცირდა.

მართალია, შემთხვევების რაოდენობა ჯანჯაფილის ზეთის გამოყენებით არ არის დიდი და პრაქტიკულად შეუძლებელია საბოლოო დასკვნის გაკეთება, მაგრამ დანამდვილებით და დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ ჯანჯაფილის ეთერზეთმა დადებითად იმოქმედა ანთებითი პროცესის სიმწვავესა და სიხშირეზე, შეშუპებასა და ტკივილზე, რის შედეგადაც გაუმჯობესდა დაავადებული ადამიანების ზოგადი მდგომარეობა.

დავამზადეთ ჯანჯაფილის ლიქიორი, გამოვიყენეთ 30 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 4 გრამი დაფქული დარიჩინი, 150 გ შაქარი, ლიმონის ცედრა, 300 მლ წყალი და 0,5 ლ. არაყი. წყალი და შაქარი 10-15 წუთი ვადუღეთ საშუალო ცეცხლზე, სიროფი შევაგრილეთ, დავმატეთ დარიჩინი, ხოლო, კარგად გაგრილებულს დავმატეთ გახეხილი ჯანჯაფილი, ლიმონის ცედრა და არაყი. მიღებული სასმელი ერთი კვირა დავაყოვნეთ, შემდეგ გავფილტრეთ და გადავიტანეთ ჰერმეტიკულად დახურულ მინის ჭურჭელში.

ჯანჯაფილის სურნელით გაჯერებული ლიქიორი წარმოადგენს ღია ყავისფერი შეფერილობის სასმელს, ოდნავ მსუსხავი, ცხარე გემოთი და ლიმონის და დარიჩინის მსუბუქი, დაბალანსებული ტონებით (ცხრილი 1). ლიქიორი ჯანჯაფილით, ლიმონის ცედრით და დარიჩინით წარმოადგენს შესანიშნავ კომბინაციას, რომელიც ერთმანეთს ავსებს არა მარტო საგემოვნო თვისებებით, არამედ სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან მომზადებულ პროდუქტში შემავალი სასარგებლო ნითიერებები ერთად განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ ხარისხს.

შევიმუშავეთ ჯანჯაფილის კარაქის რეცეპტი, რომლის დასამზადებლად გამოვიყენეთ 500 მლ ცხიმოვანი რძე, 40 გ გახეხილი ჯანჯაფილი, ერთი ცალი საშუალო ზომის ლიმონის ცედრა, ნახევარი ლიმონის წვენი და 2 გ მარილი. რძისგან ამოვიყვანეთ კარაქი, გავრეცხეთ გამდინარე ცივ წყალში. კარაქს დავამატეთ ჯანჯაფილი, ლიმონის ცედრა, ლიმონის წვენი, მარილი და საგულდაგულოდ ავურიეთ. მზა მასა მოვათავსეთ სასურველ ფორმადი და კარგად გავაგრილეთ სამაცივრო პირობებში.

ჯანჯაფილის კარაქის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების განსაზღვრის დროს შეფასდა პროდუქტის გარეგნული სახე, ფერი გემო და არომატი (ცხრილი 1).

შედეგები და მათი განსჯა

დაკვირვებამ აჩვენა, რომ წარმატებული სტრატეგიაა ჯანჯაფილის ზეთის გამოყენება როგორც დამატებითი ბუნებრივი საშუალება, რევმატიოიდული ართრიტის წამალსამკურნალო საშუალებებით მკურნალობის პროცესში. ჯანჯაფილის ზეთის თბილი კომპრესის ან საფენის გამოყენება და მსუბუქი მასაჟის გაკეთება მტკივნეულ ადგილებზე, დადებითად მოქმედებს დაავადებულ ადამიანზე, კერძოდ, ამცირებს ანთებით პროცესს და, შესაბამისად, სახსრების შეშუპებას და სიწითლეს, რაც აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. დაავადების რემისიის პერიოდში ჯანჯაფილის ზეთის გამოყენება სახსრების მსუბუქი მასაჟისთვის და კვირაში 1-2-ჯერ თბილი ზეთის კომპრესი, მნიშვნელოვნად ზრდის დაავადების რემისიის პერიოდს, ამსუბუქებს ტკივილს და დაზიანებულ სახსრებზე სიწითლეებს ამცირებს.

ცხრილი 1. ჯანჯაფილის ეთერზეთის, ლიქიორის და კარაქის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

პროდუქტის დასახელება		მაჩვენებლები			
		გარეგნული სახე	ფერი	სუნი	გემო და არომატი
1	ჯანჯაფილის ეთერზეთი	ბლანტი სითხე	მოყვითალო შეფერილობის	ჯანჯაფილის თვის დამახასიათებელი	მსუსხავი, ცხარე გემოთი და ციტრუსის არომატით.
2	ჯანჯაფილის ლიქიორი	ბუნებრივად შემღვრული მცირედი ნალექით	ღია ყავისფერი, ოქროსფერი იერით	ჯანჯაფილის, ლიმონის და დარიჩინის დაბალანსებული სურნელით	ოდნავ მსუსხავი, ჯანჯაფილისთვის დამახასიათებელი ცხარე, ხალისიანი გემოთი, ლიმონის და დარიჩინის მსუბუქი, დახვეწილი ტონებით, დაბალანსებული, ჰარმონიული ალკოჰოლით.
3	ჯანჯაფილის კარაქი	ერთგვაროვანი მკვრივი მასა, ჯანჯაფილის და ლიმონის ცედრის ჩანართებით	ღია ყვითელი	ჯანჯაფილის და ციტრუსის ნაზი სურნელით	ჯანჯაფილის დაბალანსებული, უმნიშვნელოდ მსუსხავი გემოთი, ციტრუსის ნაზი, სასიამოვნო არომატით გაჯერებული, გახანგრძლივებული დაბოლოებით.

ამრიგად, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის და ორგანოლეპტიკური ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯანჯაფილი როგორც მცენარეული ნედლეული, გამოირჩევა საკმაოდ მძაფრი, სპეციფიური სუნით, სასიამოვნო მწველი არომატით და მაღალი ბიოლოგიური აქტივობით. მიზანშეწონილია ჯანჯაფილი გამოიყენებოდეს სამკურნალო-პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც დამატებითი ბუნებრივი საშუალება მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად, ასევე, მზა პროდუქციის ხარისხის და კვებითი ღირებულების გასაუმჯობესებლად და საგემოვნო თვისებების დასახვეწად. კარაქი და ჯანჯაფილი წარმოადგენს შესანიშნავ კომბინაციას, რომელიც ერთმანეთს ავსებს არა მარტო საგემოვნო თვისებებით, არამედ სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან მომზადებულ პროდუქტში შემავალი სასარგებლო ნითიერებები ერთად განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ კვებით ღირებულებას. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომში სიღრმისეულად შევისწავლოთ ჯანჯაფილის ეთერზეთის, ჯანჯაფილის ლიქიორის და ჯანჯაფილის კარაქის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები და კვებითი ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა

- როსა ბიძინაშვილი, ნინო ერაძე (2021) სამკურნალო მცენარეების კულტურა. „მწიგნობარი“, თბილისი, 2021. გვ.618-619
- Alice White (2017) Ginger's role in cures and courtroom battles. published- wellcome collection, 29 December 2017.<https://wellcomecollection.org/articles/WjkjJCQAACcA2pRa>
- Guler Balci Alparslan, Ayfer Acikgoz, Nuran Eskin, Meltem Akay (2012) Effect of Ginger on Chemotherapy-Induced Nausea and/or Vomiting in Cancer Patients. ATMS Volume 18 Number 1 March 2012
- Hamed Fathi, Fatameh Faraji, Niusha Esmaealzadeh, Shahram Eslami, Mohammad Bagher, Mohammadi Laeeni (2021) An Investigation on the Properties of Zingiber officinale Rose and Its Application in Nutrition and Medicine Based on Scientific and Islamic Texts. Published: 01 Dec 2021; Tabari Biomedical Student Research Journal.
- Iris F. F. Benzie and Sissi Wachtel-Galor (2011) Herbal Medic: Biomolecular and Clinical Aspects. Chapter 7: The Amazing and Mighty Ginger- Ann M. Bode and Zigang Dong. https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK92775/#ch7_sec1
- K. C. Srivastava , T. Mustafa (1992) Ginger (Zingiber officinale) in rheumatism and musculoskeletal disorders. Medical Hypotheses, Volume 39, Issue 4, December 1992, Pages 342-348
- Long Z, Xiang W, He Q, Xiao W, Wei H, Li H, Guo H, Chen Y, Yuan M, Yuan X, Zeng L, Yang K, Deng Y, Huang Z. (2023) Efficacy and safety of dietary polyphenols in rheumatoid arthritis: A systematic review and meta-analysis of 47 randomized controlled trials. Front Immunol. 2023 Mar 22; 14:1024120. doi: 10.3389/fimmu. 2023. 1024120.
- Ginger: plant (2024) Written and fact-checked by the editors of encyclopedia Britannica. Last Updated: Mar 11, 2024. <https://www.britannica.com/plant/ginger>
- Srivastava K.C, Mustafa T. (1989) Ginger (Zingiber officinale) and rheumatic disorders. Med Hypotheses 1989 May;29(1):25-8. doi: 10.1016/0306-9877(89)90162-x
- Szymczak J, Grygiel-Górniak B, Cielecka-Piontek J. (2024) Zingiber Officinale Roscoe: The Antiarthritic Potential of a Popular Spice-Preclinical and Clinical Evidence. Nutrients. 2024 Mar 5;16(5):741. doi: 10.3390/nu16050741.
- Zagórska J, Pietrzak K, Kukula-Koch W, Czop M, Laszuk J, Koch W. (2023) Influence of Diet on the Bioavailability of Active Components from Zingiber officinale Using an In Vitro Digestion. Model. Foods. 2023 Oct 24;12(21):3897. doi: 10.3390/foods12213897.
- The power and history of Ginger - Sarah Nelsons Grasmere Gingerbread. © 2024 Grasmere Gingerbread. <https://www.grasmeregingerbread.co.uk/ginger>
- Juliana Harsianti (April 3, 2018) Ginger, essential spice we can't live without. <https://www.thejakartapost.com/life/2018/04/03/ginger-essential-spice-we-cant-live-without.html>

ეპოქა და მწერალი

ლიზი ხოტენაშვილი

ბაკალავრი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენე ოქრუაშვილი

ბაკალავრი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნინო გიორგაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

შესაძლებელია თუ არა ერთი კონკრეტული მწერლის შემოქმედებამ გვიჩვენოს ეპოქის რეალური სურათი?

-დიახ, შესაძლებელია და ამის ნათელი დადასტურებაა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, ქართული კულტურის დესპანის, დავით შემოქმედელის მხატვრული მემკვიდრეობა.

მისი ლექსები, მინიმალისტური პოეზია, პოემები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები იმ ეპოქის სულის მატარებელია, რომელზედაც წერს.

დავით შემოქმედელი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც „დუელში“ იწვევს მარადისობას. მისი პოეზიის ხიბლი პეიზაჟის ფერადოვნებაში, პოეტური სიტყვისა და განცდის სიწრფელეშია.

ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი მსოფლმხედველობით, თვალსაწიერით უნდა სცდებოდეს ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს, რადგან ზოგადსაკაცობრიო იდეების გარეშე დაკარგავს აქტუალობას და ვერც დროს გაუძლებს.

მწერალი უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ქვეყნისა და მკითხველის წინაშე. თანამედროვეთაგან ასეთად გვესახება დავით შემოქმედელი. მისი ყოველი სიტყვა და ქმედება სამშობლოს, ადამიანების უანგარო სიყვარულის დასტურია. ჩვენი საკონფერენციო თემის მიზანია გამოვკვეთოთ დავით შემოქმედელის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი.

საკვანძო სიტყვები: ეპოქა და მწერალი, შემოქმედელი, სამშობლო.

Abstract

Can a single writer accurately depict the essence of an era through their work?

- Yes, indeed! and the clear confirmation of this is the artistic heritage of one of the outstanding modern writers, the president of the Rustaveli Society, the ambassador of Georgian culture, David Shemoqmedeli.

His poems, minimalist poetry, short stories, and literary-critical letters bear the spirit of the era he writes about.

Davit Shemoqmedeli stands among those writers who were tested in an eternal "duel". The allure of his poetry resides in the vividness of landscapes, the simplicity of poetic language, and the depth of emotions conveyed.

A true creator with his worldview must clearly go beyond narrow national frameworks because, without universal ideas, he will lose relevance and will not stand the test of time.

A writer should feel the greatest responsibility towards the country and the readers. This is how David Shemoqmedeli appears among his contemporaries. His every word and action is a proof of his selfless love for the motherland and its people. The purpose of our conference theme is to highlight the personal and creative portrait of David Shemoqmedeli.

დავით შემოქმედელის როგორც შემოქმედებითი, ისე პიროვნული პორტრეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნს „ეპოქა და მწერალი“, რომელიც გვიჩვენებს ორი დიდი მამულიშვილის ლიტერატურულ პაექრობას, არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე. ამ წიგნში დიალოგის ფორმატშია გაშლილი მსჯელობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა : პოლიტიკა, ეროვნული საკითხი , ქვეყნის აწმყო და მომავალი. ეს ხომ ის საკითხებია ,რომლებიც არც ერთ დროში არ კარგავს აქტუალობას და არ გააჩნია საზღვრები. ის ყველა თაობის მკითხველისთვის საინტერესო და მახლობელია.

დავით შემოქმედელმა თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი სამშობლოს უძღვნა. მას მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე არცერთი საკითხი არ დაუტოვებია მწვავე რეაგირების გარეშე. „მისი მთავარი სათქმელი დასტრიალებს ერთ ძირითად საკვანძო თემას- რა როლი უჭირავს თვისობრივად ახალ დროს კაცობრიობის ცხოვრებაში და რა დაღი დაასვა მან საქართველოს. დავითის მხატვრული ტილოები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ მხოლოდ ერთ რამეს -პოეტი ამხელს დროის წინსვლის მომხიბვლელობაში ჩადებული ნადმის გათვლილ ქმედებას, უჩინარი ხელისა და გონის სატანურ ხრიკებს.(გვალია, 2019:344)

დავით შემოქმედელისთვის სამშობლო ყველაფერია, მაგრამ ვერაფრით შველის მას დანაწევრებულს და სხვისი ხელების შემყურეს. პოეტი სამშობლოსა და თავისი ხალხის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ყოველ არასწორად გადადგმულ ნაბიჯში თავის თავსაც მოიაზრებს , ეს ტვირთი კი მისი მარადიული ტანჯვის მიზეზია

დავით შემოქმედელი ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც მტერთან პირისპირ ბრძოლას არ უშინდება, და მზად არის საკუთარი ქვეყნის დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს. პოეტისთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია ის რომ თანამედროვე საქართველოში გმირული სულისკვეთება შეცვალა შუღლმა, ბოროტებამ, ბოდმამ და ღალატმა. ამ მანკიერებებმა ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ არაერთი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას.

„ ვაი, რომ კვლავა დამეა,
მგლისებრ გვიყმუის ავდარი,
მტერნაბობდ გულზე მწარეა
ციხე- შიგნიდან გამტყდარი“

დავით შემოქმედელისთვის წარსული წმინდათაწმინდაა, მწერალი სამართლიანად აფასებს გარდასულ დღეთა დიდებას, თუმცა არც იმას ივიწყებს, რომ წარსულშიც არერთხელ იმწვნია ჩვენმა ქვეყანამ უკეთურთა ქმედებით გამოწვეული მოუშუშებელი ტკივილები... კაცობრიობის ცოდვები , ოდესღაც ოცდაათ ვერცხლად შეფასებული, ისევ ეშმას სალხენად ჩხრიალებს.

„ ვერც ვერარას შეცვლი,
კვლავ ჩხრიალებს
ეშმას დახლზე
ოცდაათი ვერცხლი“

დავით შემოქმედელი სხვა მამულიშვილთა მსგავსად სარკის მომტანია საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც ადამიანური ღირებულებები და ფასეულობები მეორე ხარისხოვანია, და რომელსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს . ინტერესები, რომლის არეალიც მხოლოდ პირად კეთილდღეობას მოიცავს.

ის ადამიანი , რომელიც თავის თავს, პიროვნულ „მეს“, თავის იდენტობას, რაღაცით ჩვენს ქვეყანას უკავშირებს, ის, ვისთვისაც სამშობლო ძვირფასია ვერ უყურებს მშვიდად „ ბორბლებზე შემდგარ ქალაქს“ და ცდილობს თავისი მცირე წვლილი შეიტანოს ერის გამომდევში.

დავით შემოქმედელი დაუფარავად აღწერს რეალობას, თავისებურად გამოხატავს უგვანოთა ხელში ჩავარდნილ სამშობლოს ხვედრს. სტიკია დაშლილი, დანაწევრებული, გაყიდული ქვეყანა:

„ პატივყრილ ჩემს სამშობლოს
ზე რო აზის ყველა ფლიდი,
ხონთრის დავალების უმაღ
სიცილ-სიცილ ვფრცქვნი და ვყიდი“
„ რაც რომ მტერი მომეძალა,
ჩემს სულს ეშმაკისთვის ვრწვთნიდი,
ვდგავარ ახლა, ივერიის
ატირებულ ზეცას ვყიდი.“
სხვაგან კი აღნიშნავს:

„ცხუმს რომ ცრემლი დამიწვეთეს,\სული ამომდიოდა,\
მიწა ვნახე გაყიდული, \ ყორანი დაჰყიოდა\
და ცრემლების კუნძულს მწარეს
საქართველო ჰქვიოდა.

დავით შემოქმედელი ეხმიანება თანამედროვეობასაც და აღნიშნავს, რომ ახალი ტექნოლოგიების ბუმით დაიწყო ახალი საუკუნე. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ტექნიკური პროგრესის მომხრეა , მაინც ვერ მალავს აღშფოთებას იმ უარყოფითი

გავლენების მიმართ, რაც სასიცოცხლოდ აკნინებს კაცობრიულ ღირებულებებს. ტექნიკა შეიპარა იმ დიდებულებამაც რამაც შექმნა ყოველი, რაც აკავშირებს მთელ სამყაროს, რაც აახლოებს ქალსა და კაცს. მწერალი აღიარებს იმ თვალსაზრისს, „სიყვარულმა ასაკი არ იცის“.

არ შეიძლება არ დავეთახმოთ ოცდამეერთე საუკუნის გამორჩეულ მწერალს, დავით შემოქმედელს: „ დალაგებული და გალაღებული ქვეყნის მესიტყვეს აქვს ფუფუნების უფლება, რომ მხოლოდ წმინდა შემოქმედებით ტკბობას მიეცეს, ქართველ მწერალს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის მორალური უფლება არ აქვს; მისი ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საფრთხე ყოფნა -არყოფნისა და ხვალ, შესაძლოა მის სამშობლოში მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეც აღარ დარჩეს“ (შემოქმედელი, 2023:16).

უსაშველოდ ბევრი სიმართლე და საწუხარია „ქართველობისთვის“ დასჯილი ერის გულშემატკივარი პოეტის შემოქმედებაში. ბევრი „ვაია“ „უმრევლო და უმწყემსო“ „მტრის ძალით და მოყვრის ხელით“ ნაცემ-ნაგვემი, საყდარმოშლილი სამშობლოს გამო. ეს გოდება შემთხვევითი არ არის... ამ შემოძახილმა უნდა გამოაფხიზლოს ერი და ეს გამოაფხიზლება უნდა ექცეს „ცოდვის ღამეების“ დასასრულად.

გადარჩენის სალბუნად პოეტს სიყვარული ესახება. სიყვარულით უნდა დაავადდეს მთელი ქვეყანა და ხსნის გზაც გამოჩნდება.

„სიყვარული ავადმყოფობააო“

ამტკიცებენ დაბეჯითებით,

ნეტავ, ასეც იყოს და

ერთ მშვენიერ დღეს მანახა

ერთი დიდი საავადმყოფო

წარწერით „ღედამიწა“(2013:374)

„ გ. გ. _ მაპატიეთ, ჩაგვკითხებით: ეს ახალი გზაა თუ

დაკარგული გზის ძიებაზეა საუბარი?

დ. შ. _ ჯერ კიდევ როდის შეგვახსენა გალაკტიონ

ტაბიძემ: „დაკარგულია გზა მოხვევსი“ ანუ წარსულთან ფეს-

ვები ჩაწყვეტილიაო. დღეს ჩვენ გვჭირდება გზა, რომელიც

წარსულთან იქნება უნისონში, თან მთელი სიგრძე-სიგანით

ითავისებს სადღეისო საფიქრალს და მონიშნულია სამომავლო

გეზი.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ეროვნულ ცნობიერება და-

კარგული ხალხი ქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც სხვა ხალ-

ხები დამკვიდრდებიან“. (2023:61).

იმდენად გულმართალი და ალალია დავით შემოქმედელის პოეტური სიტყვა, შეუძლებელია არ ვირწმუნოთ ყველა ტკივილი და ყველა განცდა, რაც მის სტრიქონებში დავანებულა. მწერალს აკრთობს ტკბილ-მწარე სამშობლოს აჩეხილ-აკუნული რუკა, ფესვებმოგლეჯილი, ფრესკებატირებული ტაო; უსაშველოდ სტკივა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ისე ღრმადაა მასში სამშობლო, რომ ეს უჩვეულოდ ამაღლებული განცდაც ვირწმუნეთ:

„მე საქართველოს რუკასავით დაჩეხილ გულით

ჩემი სამშობლო -უფლის კვართი - სხეულით დამაქვს“...

დავით შემოქმედელის პოეზიაზე დაუსრულებლად შეიძლება წერა. ყოველი სტრიქონი, გვიხმობს ფიქრისთვის და გვიქმნის დაუვიწყარ ემოციებს.

დავით შემოქმედელი გიორგი გოგოლაშვილთან საუბრისას გულწრფელად ახმოვანებს ერთ სურვილს:

„ მე ბედნიერი ვიქნები, თუ ასი წლის შემდეგ ჩემი ერთი წიგნი, თუნდაც ერთი ლექსი მაინც დარჩება, რომელსაც ამ სამყაროში ჩემი საკუთარი ფერი, ჩემი ხმა ერქმევა. მწერლობა ბედისწერაა.

მწერლობა ჯამია საკუთარი სულიერი ბიოგრაფიისა და სხვად ქცევის შედეგად დაგროვილ ემოციათა მიტანისა მკითხველამდე“.(შემოქმედელი,2023:51).

გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ დავით შემოქმედელმა ახალი სიტყვა თქვა ოცდამეერთე საუკუნის მწერლობაში. ჩვენ გვჯერა, რომ მისი სურვილი რეალობად იქცევა, მისი შემოქმედება კიდევ უფრო მეტი მკითხველისთვის გაზდება საინტერესო, გეზის მიმცემი, თვალხილულად სიარულის უშურველი მოძღვარ-მასწავლებელი.

მწერალს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნისა და მკითხველის წინაშე. ამას ადასტურებს ოტია იოსელიანის შემდეგი სიტყვები „მწერალი თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი უნდა იყოს და ჰგავდეს თავისი ქვეყნის ბუნებას. თუ მის ქვეყანაში ძლიერი, კოკისპირული წვიმები იცის-მკითხველს უნდა ასველებდეს. თუ ძლიერი ყინვები-მკითხველი უნდა გაითოშოს. უდაბნოს მკვიდრის შემოქმედებას ზამთარშიც რომ ვკითხულობდეთ, უნდა დაგვცხეს.“(იოსელიანი, 2026:125).- დავით შემოქმედელის მხატვრული მემკვიდრეობა სწორედ ამ პრინციპების გამოხატულებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

გვალია, (2019). დავით შემოქმედელის პოეტური სამყარო. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“.

იოსელიანი ო (2006) ზოგი რამ სიბრძნისა. თბილისი, გამომცემლობა „ლითერასი“.

შემოქმედელი, დავით (ტაკიძე დავით) (2023). ეპოქა და მწერალი: დავით შემოქმედელს ესაუბრა გიორგი გოგოლაშვილი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.

შემოქმედელი, დ (2013) ხსოვნის ანაბეჭდები. თბილისი, გამომცემლობა „დავითი“.

1921 წლის მარტი ბათუმში

მირიან ფუტყარაძე

ბსუ-ს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ისტორიის
სამაგისტრო პროგრამა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ჯემალ კარალიძე

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა მდგომარეობს შემდეგში, განვსაზღვროთ აღნიშნული ბრძოლის (1921 წლის 18-21 მარტი) წინაპირობები, მიმდინარეობა და შედეგები. საინტერესოა აღნიშნული ისტორიული მოვლენების შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში და თურქულ ისტორიოგრაფიაში. როგორც ვიცით, 1921 წლის მარტის მოვლენები საქართველოს ისტორიაში და განსაკუთრებით ბათუმის ისტორიაში გახლავთ რთული, მძიმე და მეტად საყურადღებო. აღნიშნულ ომს თან მოჰყვება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა, მისი სრული ანექსირება.

სამეცნიერო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ბათუმის ოლქის საკითხის განხილვა 1921 წლის მარტში, ასევე დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა, მათი გეგმები ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, კერძოდ აჭარაში.

კვლევის საგანი გახლავთ საქართველოს ოკუპაციისა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბათუმში განვითარებული მოვლენები.

ნაშრომში შესწავლილია ბათუმის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მეტად საბედისწერო პერიოდი, ის თუ სად და როგორ გადაწყდა ჩვენი ქალაქის ბედი, ვინ იყო საქართველოს გენერალი და როგორია მისი როლი ბათუმის განთავისუფლების საქმეში.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი იქნება ფრიალ აქტუალური, უკავშირდება აჭარის, ბათუმის ისტორიის მეტად მწვავე საკითხს, რომელიც გადაწყდა ჩვენს სასარგებლოდ 1921 წლის მარტში. აღნიშნულმა საკითხებმა განაპირობა ჩემი დაინტერესება ამ პერიოდით, რამაც განსაზღვრა წარმოდგენილი სამეცნიერო თემის კვლევის მიზნები და ამოცანები.

ბიოჰუმუსის მნიშვნელობა და გამოყენება

ცისანა კოლოტაძე

ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I კურსი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: მაგდა დავითაშვილი

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა ბერძენიშვილი

გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სოფლის მეურნეობის წარმოებაში ორგანული ნარჩენების ბიოსასუქად გარდაქმნა შესაძლებელია ნიადაგში მცხოვრები ჭიაყელებით, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ნიადაგწარმოქმნის პროცესში, მისი სტრუქტურისა და თვისებების გაუმჯობესებაში, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ჰუმუსის, საკვები ელემენტების გადიდებაში, ნაყოფიერი და უნაყოფო ფენების ერთმანეთში შერევაში. ჭიაყელების არსებობა ნაყოფიერი ნიადაგის საუკეთესო ბიოინდიკატორია. ორგანული ნარჩენების გადამუშავების, ნიადაგის რეგენერაციისა და დეტოქსიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ვერმიკომპოსტირება, რასაც საფუძვლად უდევს ჭიაყელების მიერ ორგანული ნარჩენების შეთვისებისა და ტრანსფორმირების უნარი. შედეგად მიიღება პროდუქტი - ჭიაყელების კომპოსტი ანუ ბიოჰუმუსი, რომელიც არის მიკრობიოლოგიური სასუქი და უზრუნველყოფს ნიადაგის გამოჯანმრთელებას. ბიოჰუმუსი მიიღება ყოველგვარი ქიმიური დანამატების გამოყენების გარეშე, ამიტომ წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა სასუქს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტებს, ვიტამინებს, ანტიბიოტიკებს, მცენარეთა ზრდის სტიმულიატორებს, რომელიც ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას და უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას. ნაშრომში განხილულია ჭიაყელების როლი ორგანული ნარჩენების გადამუშავებაში, ბიოჰუმუსის, კომპოსტის დამზადების ტექნოლოგია და მათი გამოყენება, რათა შესაძლებელი გახდეს სტაბილური ეკოლოგიურად მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება.

საკვანძო სიტყვები: ჭიაყელა, ვერმიკომპოსტირება, ბიოჰუმუსი, ორგანული ნარჩენები.

Abstract: In agricultural production, organic waste can be transformed into biofertilizer by earthworms living in the soil, which play a major role in the process of soil formation, improving its structure and properties, increasing soil fertility and humus, nutrient elements, mixing fertile and infertile layers together. The presence of earthworms is the best bioindicator of soil fertility. One of the best ways of recycling organic waste, soil regeneration and detoxification is vermicomposting, which is based on the ability of worms to absorb and transform organic waste. As a result, worm compost or biohumus is obtained, which is a microbiological fertilizer and ensures soil recovery. Biohumus is obtained without the use of any chemical additives, therefore, it is an environmentally friendly fertilizer, which contains a large amount of enzymes, vitamins, antibiotics, plant growth stimulants, which promotes the growth and development of plants and provides environmentally friendly products. The article discusses the role of earthworms in the processing of organic waste, the technology of making biohumus, compost and their use in order to make it possible to obtain a stable ecologically high-quality harvest.

Key words: worm, vermicomposting, biohumus, organic waste.

შესავალი

ჩვენს პლანეტაზე, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასთან და მოსახლეობის მიერ მათი მოხმარების ზრდასთან ერთად, რჩება დიდი რაოდენობით ორგანული ნარჩენები, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ეკოსისტემას და წარმოადგენენ გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეს ნარჩენები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და ნაგავსაყრელების დიდ ფართობებს იკავებენ და ლაზობის პროცესში ჰაერში გამოყოფენ დიდი რაოდენობით ამიაკს, გოგირდწყალბადს და სხვა არასასიამოვნო სუნის მქონე ნივთიერებებს. აბინძურებენ ნიადაგებს, ჰაერს და გრუნტის წყლებს და მნიშვნელოვან საშიშროებას უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას. ამ ნარჩენების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ორგანულ სასუქად და შეტანილ იქნას ნიადაგში, მათმა დიდმა ნაწილმა კი შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის ნაყოფიერების სერიოზული დანაკარგი და დაბინძურება. ამასთან, მათმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს აზოტის წრებრუნვის შეჩერება. მაგრამ თუ მოხერხდება ამ ნარჩენების გადამუშავება, მაშინ ისინი გარდაიქმნებიან შესანიშნავ ბიოსასუქად, რომელიც არავითარ საშიშროებას არ ქმნის ნიადაგში შეტანისას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დარჩენილი ნარჩენების ბიოსასუქად გარდაქმნა შესაძლებელია ნიადაგში მუდმივად მცხოვრები მრავალი, მიწათმოქმედთა უცვლელი დამხმარე ცხოველით, რომელთაგან მთავარია ჭიაყელები. ჭიაყელების მეშვეობით დიდდება ნიადაგში ორგანული ნივთიერების შემცველობა, უმჯობესდება მცენარეთა ზრდა-განვითარება, რაც ხელს უწყობს სტაბილური და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღებას. ჭიაყელების მიერ გადამუშავებით მიღებულ ძირითად პროდუქტს ბიოჰუმუსი

ანუ ჭიაყელების კომპოსტი ეწოდება, რომელიც წარმოადგენს მიკრობიოლოგიურ სასუქს და აჯანმრთელებს ნიადაგს.

ბიოჰუმუსში 4-8 ჯერ მეტია ჰუმუსის შემცველობა ნაკელთან და სხვა კომპოსტებთან შედარებით, ის შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტებს, ვიტამინებს, მცენარეთა დაცვის სტიმულატორებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

ბიოჰუმუსის მოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 3-5 წელს. ნაკელისგან განსხვავებით არ არის ინერტული, რის გამოც მცენარე რეაგირებს მისი შეტანისთანავე. მისი გამოყენებისას მცენარის სავეგეტაციო პერიოდი მოკლდება 1,5-3 კვირით.

ბიოჰუმუსი არ შეიცავს სარეველების თესლს, არ აქვს სუნი, რის გამოც სასიამოვნოა მისი ხელში დაჭრა. შენახვის პერიოდში შრება, მაგრამ არ კარგავს თავის ხარისხს.

ჭიაყელების გავლენა ნიადაგწარმოქმნის პროცესებზე

ნაყოფიერი ნიადაგების არსებობა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. ნიადაგწარმოქმნის პროცესი დამოკიდებულია მზის სხივების მოქმედებაზე, რომლებიც არათანაბრად ათბობენ მთის ქანებს, ატმოსფერულ ჰაერს, წყალს და წარმოადგენენ ამ პროცესის გეოლოგიურ ფაქტორს. შემდგომ ეტაპზე მოქმედებას იწყებენ და თანდათან წინა პლანზე გადაინაცვლებენ ბიოლოგიური ფაქტორები. კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ნიადაგი წარმოადგენს ორგანული და მინერალური ნივთიერებების და ცოცხალი ორგანიზმების მთლიან კომპლექსს. მასში დასახლებული ორგანიზმების გარეშე, ცალკე აღებული მისი მხოლოდ არაცოცხალი შემადგენელი ნაწილი, უკვე არ წარმოადგენს ნიადაგს.

ჭიაყელების როლი ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებაში, ცნობილი იყო უძველესი დროიდან, მაგრამ ეს საკითხი პირველად ღრმად იქნა გაშუქებული ჩარლზ დარვინის მიერ. ამ საკითხისადმი მიძღვნილი თავის მნიშვნელოვანი გამოკვლევებით დარვინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იშვიათია სახეობები, რომლებიც ნიადაგწარმოქმნის პროცესში ასრულებდნენ ისეთ დიდ როლს, როგორც ჭიაყელები. შემდგომში ჭიაყელების როლი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებაში უფრო ღრმად იქნა შესწავლილი მრავალი მეცნიერის მიერ.

იმისათვის, რათა გავიგოთ, როგორ მიმდინარეობს ნიადაგწარმოქმნის პროცესი და სწორად შევაფასოთ ჭიაყელების როლი ამ პროცესში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნიადაგწარმოქმნელ სხვა უამრავ ფაქტორთა მოქმედება, რადგან ნიადაგწარმოქმნის პრობლემა წარმოადგენს თანამედროვე ნიადაგმცოდნეობის ძირითად შემადგენელ ნაწილს და რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის სარგებლობს სხვადასხვა მეცნიერების - გეოლოგიის, ბოტანიკის, მიკრობიოლოგიის, ნიადაგის ზოოლოგიისა და სხვა მონაცემებით.

ჭიაყელების გავლენა ნიადაგის თვისებებზე

ჭიაყელების მიერ ნიადაგში გაკეთებული ხვრელები ცვლის მათ თვისებებს: რაც მეტი ხვრელი იქნება გაკეთებული ნიადაგში, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ჰაერის გადანაცვლებისა და წყლის ჩაჟონვისათვის, რომლებიც საჭიროა ნიადაგში ქიმიური პროცესების წარმართვისათვის. ჰაერი და წყალი კი წარმოადგენს

აუცილებელ პირობას ნიადაგის ცოცხალი ორგანიზმების - ბაქტერიების, სოკოების სიცოცხლისათვის.

ჭიაყელებით დასახლებული ნიადაგი დაქსელილია მათ მიერ გაკეთებული ხვრელებით. მარტო ერთ ჭიაყელას შეუძლია ხვრელების მთელი სისტემა შექმნას, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი მიმართულება. ხვრელების კედლები დაფარულია ჭიაყელების მიერ გამოყოფილი ლორწოს ფენით, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან წყლით დაშლას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჭიაყელების ცხოველმყოფელობა უზრუნველყოფს ნიადაგს ნაყოფიერებისათვის აუცილებელი აერაციითა და დრენაჟით.

ჭიაყელების მიერ გაკეთებული ხვრელებით ნიადაგის ღრმა ფენებში ხვდება არა მარტო ჰაერი და მცენარის ფესვები, არამედ მიკროორგანიზმები, რომლებიც ხვრელების კედლებზე სახლდებიან და როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ნიადაგწარმოქმნის პროცესში.

ჭიაყელები ხვრელების გაკეთებით ადიდებენ ნიადაგის კაპილარულ ფორებს, რაც ხელს უწყობს მათში ჰაერისა და წყლის ჩაღწევას. ამ ხვრელებში ისინი ერთმანეთში ურევენ ნიადაგის სხვადასხვა ფენებს, მისი ნაწილი ამოაქვთ ზედაპირზე, სიღრმეში ჩააქვთ ორგანული ნარჩენები. სპეციალურ ჯირკვლებში გამოიმუშავენ ნახშირმჟავა ამონიუმს, რომელიც ანეიტრალებს ნიადაგის მჟავიანობას. გამონაყოფებში ჭარბად ვითარდებიან ბაქტერიები, რომლებიც ხელს უწყობენ გარკვეული სახეობათა მიკრობების გამრავლებას. აღნიშნულის გარდა, ჭიაყელების მიერ გაკეთებულ ხვრელები შიგნიდან იფარება ლორწოვანი გამონაყოფით, რომელიც მათ სიმაგრეს მატებს.

ჭიაყელები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ აზოტის წრებრუნვაში, ნიადაგში ჰაერის ცირკულაციის გადიდებასა და მის ღრმა ფენებში ჩაღწევაში.

ჭიაყელების გავლენით წარმოებს ნიადაგის ფენების ერთმანეთში შერევა. ჭიაყელების მიერ ნიადაგის ჩაყლაპვა და მისი ამოტანა ნიადაგის ზედაპირზე წარმოადგენს ახალი ზედაპირული ფენის წარმოქმნის უნივერსალურ პროცესს, რომელშიც სხვადასხვა სიღრმის ნიადაგის ფენები უკვე შერეულია ერთმანეთთან.

ნიადაგის ფენების შერევა მიმდინარეობს არა მარტო ნიადაგის სიღრმიდან ნიადაგის ნაწილების ზემოთ გადაადგილებით, არამედ ის შეიძლება წარმოებულ იქნეს ჭიაყელების მიერ გაკეთებულ ხვრელებში ჰუმუსოვანი ფენის გადაადგილებითაც, წვიმის ან სარწყავ წყალთან ერთად.

დიდია ჭიაყელების როლი მიწათმოქმედებაში სასუქისა და ნიადაგის ურთიერთშერევის საქმეში. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ნიადაგში მოხვედრილი ნაკელი ჭიაყელების გარეშე შეიძლება წლობით იყოს დაუშლელი. მაგრამ ნიადაგში ნაკელის გადანაწილებაში დიდ როლს ასრულებენ არა მარტო ჭიაყელები, არამედ ნიადაგში ბინადარი სხვა ცოცხალი ორგანიზმებიც, რომელთა მნიშვნელობა არ არის მეორეხარისხოვანი.

ჭიაყელების ნაწლავში გავლილი ნიადაგი არამარტო ერევა ერთი მეორეში, არამედ ხარისხობრივად იცვლება. ჩაყლაპული ნიადაგი ჭიაყელების კუჭში ერევა ფოთლებთან და მცენარეულ სხვა ნარჩენებთან და განიცდის ქიმიურ გადამუშავებას

ნაწლავების სხვადასხვა ნაწილის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი სითხით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ერთგვაროვანი საკვები ფაფა.

ჭიაყელები თავის გარშემო ნეშომპალად გადაამუშავენ ნიადაგში არსებულ ორგანულ ნარჩენებს, ფოთლებს, ფესვებს, ტოტებს. მათი მონელებისას ისინი გამოყოფენ გამონაყოფებს, რომელშიც ჰუმუსისა და კალციუმის შემცველობა თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე გადასამუშავებელ ნიადაგში. ნიადაგის ნეშომპალას შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები მიკროორგანიზმების მიერ გარდაიქმნებიან ხსნად, მცენარის ფესვთა სისტემისათვის აზოტის, ფოსფორის, კალიუმის და სხვა ელემენტების შესათვისებელ ქიმიურ შენაერთებად.

ვერმიკომპოსტირება

ორგანული ნარჩენების გაუვნებლობის და საუკეთესო სასუქად გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად ხერხს წარმოადგენს სხვადასხვა ორგანული ნარჩენების კომპოსტირება ანუ ბიოორგანული ანაერობული გარდაქმნა. ამ კომპოსტების შეტანა ნიადაგში არავითარ საშიშროებას არ უქმნის კულტურულ მცენარეებს. ორგანული ნარჩენები დაკომპოსტების პროცესში გარდაიქმნება მდგრად, უსუნო სუბსტრატად, რომელთა შეტანა ნიადაგში უფრო ხელსაყრელი და ეფექტურია, ვიდრე ნედლი ორგანული ნარჩენებისა.

ჩვეულებრივ კომპოსტირების ყველაზე გავრცელებული მეთოდია დაჩქარებული აერობული დაკომპოსტება, რომელშიც სუბსტრატი გადის ცხელ სტადიას (45-54°C), სადაც მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობით გამოთავისუფლება სითბო, ნახშირორჟანგი და წყალი. უკანასკნელ წლებში მკვლევარები დაინტერესდნენ მეორე ბიოლოგიური პროცესით, რომელშიც ორგანული ნარჩენები არ გადის დამლის ცხელ სტადიას. ამ შემთხვევაში მათი დამლა წარმოებს ნიადაგის ჭიაყელებით.

ვერმიტექნოლოგია, როგორც მცნება თითქმის ას წელს ითვლის, მაგრამ დღეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს ტექნოლოგია, როგორც ორგანული ნარჩენების გადამუშავების, ნიადაგის რეგენერაციისა და დეტოქსიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ვერმიტექნოლოგიებს საფუძვლად უდევს ჭიაყელების მიერ ორგანული ნარჩენების შეთვისებისა და ტრანსფორმირების უნარი. ჭიაყელების კვებითი აქტივობისა და ცხოველქმედების შედეგად ხდება ნიადაგის ორგანული ნაერთებით გამდიდრება.

კვების პროცესში ჭიაყელები ანაწევრებენ ნიადაგს და სუბსტრატს, ამდიდრებენ მას მიკროფლორით და ადიდებენ მათი დამლის უნარს, რასაც მივყავართ კომპოსტირებამდე ანუ ეგრეთწოდებულ ჰუმინიფიკაციის ეფექტამდე, რომლის დანმარებით არამდგრადი სუბსტრატი იქანება და იშლება. საბოლოო პროდუქტი, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ვერმოკომპოსტებს ანუ ბიოჰუმუსს, მიიღება ორგანული სუბსტრატის ნიადაგის ჭიაყელების კუჭში გატარებით, რომელიც სრულად განსხვავდება პირველადი მასალისგან. ვერმიკომპოსტები - ეს კარგად დაშლილი (ტორფის მსგავსი) ნივთიერებებია, რომელთაც ახასიათებთ მაღალი ფორიანობა, ჰაერგამტარობა და წყალშეკავების უნარი. ისინი შეიცავენ მცენარისათვის შესათვისებელ საკვებ ელემენტებს, ნიტრატებს, მოძრავ ფოსფორს, კალიუმს, მაგნიუმს

და კალციუმს. ვერმიკომპოსტებს, აღნიშნულთან ერთად, გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდის ბიოსტიმულატორის დიდი პოტენციალი.

ვერმიკულტურების შეტანა როგორც ცალკე, ისე ნიადაგთან ნარევის სახით, დარგვის დროს აპირობებს თესლის მომწიფების გაუმჯობესებას, აჩქარებს აღმოცენებასა და ნარგავების ზრდას.

კომპოსტირება და ვერმიკომპოსტირება განსხვავებული პროცესებია. განსაკუთრებით განსხვავებულია მათი საკომპოსტე წარმოქმნის ტემპერატურა და მიკროფლორის სახეობები, რომლებსაც ისინი იძენენ აქტიური გადამუშავების ფაზაში (კერძოდ, კომპოსტირებას აწარმოებენ თერმოფილური ბაქტერიები, ვერმიკომპოსტირებას - მეზოფილური ბაქტერიები და სოკოები). ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ ორივე ხერხით დამუშავებით მიღებული სუბსტრატები, მაგალითად, ელვარდსმა და ბაროუსმა (1988) თავიანთი გამოკვლევებით ვერმიკომპოსტებში აღმოაჩინეს მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში არსებული საკვები ელემენტები. ასევე არსებითი განსხვავება იქნა შემჩნეული ამ მასალების სტრუქტურაში, ვერმიკომპოსტები ფლობდა ბევრად უკეთეს სტრუქტურას, ვიდრე ჩვეულებრივი კომპონენტები.

ბიოჰუმუსი და მისი გამოყენება

ბიოჰუმუსი ანუ ჭიაყელების კომპოსტი - არის ჭიაყელების მიერ გადამუშავებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელი. ორგანული ნივთიერებები ჭიაყელას კუჭში განიცდიან უფრო მთლიან დაშლას და ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს, იშლებიან ამინომჟავებად. ჭიაყელების ნაწლავებში მდიდრდებიან განსაკუთრებით სასარგებლო მიკროფლორით, ფერმენტებით, ვიტამინებით და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც ჩაგრავენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკროფლორას ამის შედეგად ორგანული მასა კარგავს სუნს, ხდება მათი გაუვნებლება, იღებს გრანულირებულ ფორმას და ნიადაგს აძლევს სასიამოვნო სუნს.

ბიოჰუმუსი გამოიყენება გაზაფხულზე, ნიადაგის დამუშავების დროს. ის შეიტანება მცენარეთა დასარგავ კვალში და მწკრივებში თესვის დროს. ბიოჰუმუსს ამატებენ ჩითილებისა და ოთახის მცენარეთა ჩასარგავ მიწის ნაზავს. ბიოჰუმუსით ნიადაგის დამარილება შეუძლებელია, რაც მეტი იქნება შეტანილი, მით უკეთესია. ბიოჰუმუსით შეიძლება დამზადდეს წყლის ნაყენი და ამ ნაყენით შემდგომში მორწყული იქნას მცენარეები. განსაკუთრებით ეფექტურია მინერალური სასუქების გამოყენება ბიოჰუმუსის ნარევთან ერთად.

დასკვნა

დღეს, როდესაც კაცობრიობის წინაშე მწვავედ დგას ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოების აუცილებლობა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის გაზრდას ორგანული სასუქების ხარჯზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ნიადაგის და მასზე მოყვანილი პროდუქტების ნიტრატებით, ფოსფატებითა და სხვა არაორგანული სასუქებით გაჯერება-დაბინძურება. შედეგად უმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერება, შესაბამისად მატულობს მოსავლიანობა, რაც პრაქტიკოსი სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ვერმიკომპოსტირების შედეგად მიიღება პროდუქტი - ჭიაყელების კომპოსტი ანუ ბიოჰუმუსი, რომელიც არის მიკრობიოლოგიური სასუქი და უზრუნველყოფს ნიადაგის გამოჯანმრთელებას. ბიოჰუმუსი მიიღება ყოველგვარი ქიმიური დანამატების გამოყენების გარეშე, ამიტომ წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა სასუქს, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტებს, ვიტამინებს, ანტიბიოტიკებს, მცენარეთა ზრდის სტიმულიატორებს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ხელს უწყობს მცენარეთა ზრდა-განვითარებას და უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გიგინეიშვილი, ლ., ყარალაშვილი, ნ., გიორგაძე, მ., ბადაგაძე, ჯ., ქიზიყურაშვილი, ვ. (2011). ბიოჰუმუსის წარმოების და გამოყენების ტექნოლოგია. თბილისი: საქართველოს ფერმერთა სახლი. გვ. 58.
- თხელიძე, ა., ურუშაძე, თ., და ტყეშელაშვილი, ზ. (2012). ბიოჰუმუსი, მისი მნიშვნელობა, დამზადება და გამოყენება მიწათმოქმედებაში. თბილისი: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “საზოგადოება ცოდნა”.
- ყურაშვილი, ბ. (1996). უხერხემლოთა ზოოლოგია. თბილისი: განათლება.
- Ahmad, A., Aslam, Z., Bellitürk, K., Iqbal, N., Idrees, M., Nawaz, M., ... & Aziz, M. M. (2021). Earth worms and vermicomposting: A review on the story of black gold. *Journal of Innovative Sciences*, 7(1), 167-173.
- Bhadoria, T., & Saxena, K. G. (2010). Role of earthworms in soil fertility maintenance through the production of biogenic structures. *Applied and environmental soil science*, 2010.
- Domínguez, J. (2018). Earthworms and vermicomposting (pp. 63-77). London (UK): IntechOpen.
- Gneush, A., Zholobova, I., Petenko, A., Antipova, D., & Yurin, D. (2021). Microbiological Characteristics of Biohumus and Humin Extract. *KnE Life Sciences*, 719-729.
- Gneush, A., Zholobova, I., Petenko, A., Gorkovenko, N., & Yurina, N. (2021). The Technology of Producing Biohumus and the Study of its Qualitative Indicators. *KnE Life Sciences*, 730-737.
- Kokhia, M. (2015). Composting: Advantages and disadvantages. *Proceedings of the Institute of Zoology, Ilia State University, Georgia*, 133-138.
- Singh, A., Karmegam, N., Singh, G. S., Bhadoria, T., Chang, S. W., Awasthi, M. K., ... & Ravindran, B. (2020). Earthworms and vermicompost: an eco-friendly approach for repaying nature's debt. *Environmental Geochemistry and Health*, 42, 1617-1642.

ჯვაროსნული ლაშქრობები და მისი შედეგები

გიორგი ჯინჭარაძე

ლოგისტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

საბა ბოლქვაძე

ლოგისტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნაირა ტაბიძე

პროფესორი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის იმპერიასთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი ჩემი კვლევის საგანი გახდა, რადგან, რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება დღესაც საზოგადოების განსჯის საგანია და არ დაუკარგავს აქტუალობა.

ნაშრომის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს ერეკლე II-ის მოტივები, რამაც განაპირობა რუსეთის პოლიტიკურ მოკავშირედ არჩევა. რამ განაპირობა ეს არჩევანი საერთო ღირებულებებმა რუსეთთან, რომელიც პირველ რიგში არის საერთო სარწმუნოება და ევროპასთან დაახლოების სურვილი, რომელიც რუსეთის გარეშე არ მოხერხდებოდა თუ ქვეყანაში შექმნილი გამოუალი მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებული გახდა შეეცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორი.

ნაშრომის განხილულია 1783 წლამდე არსებული მდგომარეობა პირველი კონტაქტები რუსეთთან.

1. პირველი ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის იყო 1564 წელს როცა რუსეთის მეფემ ივანე მრისხანემ კახეთში მეფე ლევანის თხოვნით კაზაკთა რაზმი გაგზავნა, რამაც ოსმალეთიც და ირანიც აღაშფოთა,

2. 1585 წ. რუსეთის მეფემ თავისი ელჩი დანილოვი გააგზავნა კახეთში კავშირის დამყარების მიზნით

3. 1686 წ. რუსეთს უკვე კახეთის ელჩობა ეახლა, სადაც მტრებისაგან თავდაცვას ითხოვდა ნგანსაკუთრებით დაღესტნელებისაგან

4. 1587 წ. კახეთის მეფე ალექსანდრემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“ რომელიც რუსეთ საქართველოს შორის პირველი ოფიციალური დოკუმენტი იყო.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ტრაქტატის მუხლობრივ განხილვას, რომელიც, შედგებოდა შესავლისა, 13 ძირითადი და 4 დამატებითი საიდუმლო (სეპარატული) მუხლისგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაშრომში თავმოყრილია იმ მიზეზთა ერთობლიობა, რამაც განაპირობა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება. კავკასიაში, შავიზღვისპირეთსა და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე. ამ თვალსაზრისით ნაჩვენებია როგორც ქართული, ისე რუსული მხარის მისწრაფებები, მიზნები და ამოცანები, განხილულია ის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რაც გეორგიევსკის ტრაქტატმა მოუტანა საქართველოს

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ერეკლე II, გეორგიევსკის ტრაქტატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

(ბერძენიშვილი, ნ. ცინცაძე, ი., ჯავახიშვილი, ივ. (1978). გეორგიევსკის ტრაქტატი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 3.

რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, თბ. 2008.

<https://article.ge/georgievskis-traktati/>

ელექტრონული ბიზნესის აპლიკაციები და მოდელები

ლუკა ხოხაშვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: თინათინ მშვიდლობაძე

პროფესორი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია ელექტრონული ბიზნესის სახეები, ევოლუცია და პრაქტიკა. გაანალიზებულია ელექტრონულ ბიზნეს აპლიკაციებსა და მოდელებს შორის მკაფიო განსხვავებები. ასევე წარმოდგენილია ეგრეთ წოდებული გაფართოებული SCOR მოდელი, რომელიც შემუშავებულია ორიგინალური მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების საცნობარო (SCOR) მოდელისა და პორტერის ღირებულებათა ჯაჭვის მოდელის იდეების შერწყმით. SCOR მოდელი შემოთავაზებულია, როგორც მექანიზმი მიმდინარე ბიზნეს აპლიკაციებისა და მოდელების შესამოწმებლად და იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი ბიზნეს ინიციატივების პოზიციონირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ბიზნესი, მოდელები, კონცეპტუალური მოდელი, ბიზნეს ტენდენცია.

Abstract

The paper presents the types, evolution and practice of e-business. The distinct differences between e-business applications and models are analyzed. Also presented is the so-called extended SCOR model, developed by combining ideas from the original supply chain operations reference (SCOR) model and Porter's value chain model. The SCOR model is proposed as a mechanism for testing current business applications and models, and it can also be used to paper discusses the challenges of e-business and e-commerce.

Keywords: e-business, models, conceptual model; business trend.

შესავალი

გასული ათწლეულის განმავლობაში მრავალი განმარტება იქნა გამოყენებული ბიზნესის სახეობების ასაღწერად, რომელიც ხორციელდება ელექტრონული ან

ციფრული საშუალებების გამოყენებით. ციფრული ბიზნესის განსაზღვრის წესი დიდწილად დამოკიდებულია მომხმარებლის პერსპექტივაზე.

მკვლევარები ლი და ვანგი (Lee and Whang, 2001, 311–319) განსაზღვრავენ ელექტრონულ ბიზნესს, როგორც „ინტერნეტზე დაფუძნებული გამოთვლების და კომუნიკაციების გამოყენებას“.

უფრო ზოგადი განმარტებით ელექტრონული ბიზნესი არის „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება პროდუქციის, სერვისების და ინფორმაციის ყიდვისა და გაყიდვის გასაადვილებლად სტანდარტებზე დაფუძნებულ ქსელებში“ (Fatt, 2002).

მკვლევარი სკოტი (Scott, 2000, 357) ელ.ბიზნესს განსაზღვრავს, როგორც „ბიზნეს პროცესების, საწარმოს აპლიკაციების და ორგანიზაციული სტრუქტურის კომპლექსურ მერწყმას, რომელიც აუცილებელია მაღალი ხარისხის ბიზნეს მოდელის შესაქმნელად“.

ნაშრომში განვიხილავთ ელექტრონული ბიზნესის ორ ზოგად კლასიფიკაციას: „ელექტრონული ბიზნესის აპლიკაციები“ და „ელექტრონული ბიზნესის მოდელები“.

ელექტრონული ბიზნესის აპლიკაციები

თანამედროვე ბიზნეს აპლიკაციები უზრუნველყოფენ ბიზნეს ფუნქციების უფრო სწრაფად, იაფად და პრინციპულად უკეთ განხორციელების საშუალებას ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით. მაგალითად, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი კვლავ მოიცავს საქონლის, ინფორმაციისა და ფინანსების ნაკადის მართვას მიწოდების ჯაჭვის მეშვეობით. თუმცა, ამის მიღწევა უფრო სწრაფად და იაფად შესაძლებელია ელექტრონული მიწოდების ჯაჭვის მართვის აპლიკაციების გამოყენებით. კომპანიები იძენენ კონკურენტულ უპირატესობას ამ აპლიკაციების განხორციელებით, თუმცა ეს მოითხოვს ეფექტური სტრატეგიების დადასტურებული პრინციპების აგებას (Phan 2003, 581–590).

მოგების და ეფექტურობის ამაღლებამ აიძულა მრავალი ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებელი კომპანია აწარმოოს ბიზნეს აპლიკაციები. მაგალითად, Oracle აფასებს თავის ელ.ბიზნესს, როგორც „ბიზნეს აპლიკაციების სრულ ერთობლიობას, რომელიც საშუალებას გაძლევთ ეფექტურად მართოთ მომხმარებელთან ურთიერთობა, აწარმოოთ პროდუქტები, შეასრულოთ გადახდები და სხვა. ეს ყველაფერი ბიზნეს სისტემიდან, რომელსაც აქვს ერთიანი ტექნოლოგიური საფუძველი“ (Oracle 2003).

Siebel, კიდევ ერთი ამჟამინდელი ლიდერი ელ.ბიზნესის აპლიკაციების მიწოდებაში, ყიდის თავის პროდუქტებს იმის მტკიცებით, რომ ისინი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს განათავსონ მომხმარებელზე ორიენტირებული საუკეთესო პრაქტიკა თავიანთი გაყიდვების, მარკეტინგისა და კლიენტების მომსახურებაში“ (Siebel 2003).

Microsoft (2003), PeopleSoft (2003), SSA GlobalTechnologies (2003) და Pivotal (2003) ასევე გთავაზობთ აპლიკაციებს, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა ბაზრებსა და სექტორებზე, რომლებიც გვპირდებიან გაყიდვების, მარკეტინგის, სერვისების და მრავალ სხვა ღირებულებათა ჯაჭვს.

Aberdeen Group-მა (2003) მოახდინა ელექტრონული ბიზნესის აპლიკაციების კლასიფიცირება შემდეგი სათაურებით:

მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი

ეს აპლიკაციები იყენებენ ვებ ტექნოლოგიებს ორგანიზაციის მიდმა მართვისათვის. სტრატეგიული მიდგომა აერთიანებს ბიზნეს ციკლის ყველა საფეხურს, საწყისი პროდუქტის დიზაინიდან შესყიდვებამდე.

- მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი

CRM (ელექტრონული მომხმარებელთა ურთიერთობის მენეჯმენტი) არის სტრატეგია, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთა საჭიროებებისა და ქცევების შესახებ მეტი გასაგებად, მათთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების გასაპოვნად. აპლიკაციები, გარდაქმნის არსებულ მომხმარებელთა მონაცემებს რეალურ გაყიდვებში, გაყიდვების შესაძლებლობებსა და მარკეტინგულ შეხედულებებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

- ბიზნეს ინტელექტი

ბიზნეს დაზვერვის აპლიკაციები საწარმოებს სთავაზობს ბიზნეს პრობლემების გაგებისა და მოდელირების საშუალებებს და ამ მოდელების სხვა ინსტრუმენტებსა და აპლიკაციებს ასახავს. ეს არის გადაწყვეტილების მხარდაჭერის ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება უმაღლესი და საშუალო მენეჯმენტის მიერ, როგორც ძირითადი სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

ელექტრონული ბიზნესის მოდელები

მკვლევარი კალაკოტა (Kalakota , 2001, 63) აცხადებს, რომ ელექტრონული ბიზნესი არ არის უბრალოდ „ელექტრონული კომერციის ტრანზაქციები ან ყიდვა-გაყიდვა ინტერნეტში“. ეს არის „ძველი ბიზნეს მოდელების ხელახალი განსაზღვრის საერთო სტრატეგია, ტექნოლოგიის დახმარებით, მომხმარებლის ღირებულებისა და მოგების მაქსიმიზაციის მიზნით“.

ელექტრონული ბიზნესი უფრო მეტია, ვიდრე ტექნოლოგიის გამოყენება არსებულ ბიზნეს მოდელზე, მაგრამ მოიცავს ახალი ელექტრონული ბიზნეს მოდელების შექმნას, რომლებიც დაფუძნებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ტიმერსი (Timmers, 1999, 223) განსაზღვრავს ბიზნეს მოდელს, როგორც პროდუქტის, სერვისისა და ინფორმაციის ნაკადების არქიტექტურას, სადაც აღწერილია შემოსავლის წყაროები და სარგებელი სხვადასხვა ბიზნეს აქტორებისათვის. ის ხედავს ბიზნეს მოდელს, როგორც მეთოდს, რომლითაც კომპანიას შეუძლია შეინარჩუნოს თავი შემოსავლების გამომუშავების გზით.

მაგალითად, Dell computers-მა მიიღო უადრესად წარმატებული „პირდაპირი მოდელი“, რომელიც მწარმოებელს საშუალებას აძლევს გაყიდოს თავისი პროდუქტები უშუალოდ საბოლოო მომხმარებლებზე, რითაც გვერდის ავლით მიწოდების ჯაჭვის ჩვეულებრივ შუამავლებს.

ამ მოდელებიდან ბევრი წარმატებით იქნა დანერგილი მსოფლიოს კომპანიებში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მოდელები არის შემოსავლის ძირითადი წყაროს საფუძველი (მაგ. Amazon.com), ხოლო სხვა შემთხვევებში ახალი ბიზნეს მოდელი უზრუნველყოფს დამატებით შემოსავლის ნაკადს არსებული ბიზნესისათვის.

მობილური კომუნიკაციები

მობილური კომუნიკაციების ტექნოლოგიების ბოლოდროინდელმა განვითარებამ შექმნა ციფრული ბიზნესის ახალი შესაძლებლობები, როგორიცაა გლობალური

პოზიციონირების სისტემის (GPS) სანავიგაციო სისტემები, ასევე არსებული ბიზნესებისათვის მობილური განზომილების დამატება, როგორიცაა ელექტრონულ ფოსტაზე წვდომა მობილური ტელეფონებით.


კუმარი (Kumar and Zahn, 2003, 515–520) ვარაუდობს, რომ ტექნოლოგია, როგორიცაა შტრიხ კოდების სკანირება და ჯანმრთელობის მონიტორინგი, ინტეგრირებული იქნება მობილურ ტელეფონებში უახლოეს მომავალში. მონაცემთა ბაზაში წვდომის უსაღესო სერვერები (WDBAS) ხელს შეუწყობს PDA-ებში გამოყენებული უკაბლო აპლიკაციების განვითარებას. გათვალისწინებულია, რომ ეს სფერო გააგრძელებს მნიშვნელოვან წვლილს ციფრული ბიზნესის გააქტიურებაში მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

კონცეპტუალური მოდელი - ხიდი ტექნოლოგიასა და ბიზნესს შორის

კონცეპტუალური ბიზნეს მოდელი ბიზნეს საზოგადოებასა და IT დეველოპერებს აძლევს საერთო რუქას ან იმის გაგებას, თუ სად შეიძლება იყოს დაკავშირებული ახალი იდეები, კონცეფციები და განვითარება საყოველთაოდ მიღებულ ბიზნეს პრაქტიკასთან. ბიზნეს მოდელების მრავალი მაგალითი არსებობს.


მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების საცნობარო მოდელი (SCOR) შემუშავებულია ბიზნეს აქტივობების აღსაწერად, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა ფაზასთან (Supply-Chain-Council 2003). თავად მოდელი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას და ორგანიზებულია ხუთი ძირითადი მართვის პროცესის გარშემო: "გეგმა", "წყარო", "დამზადება", "მიწოდება" და "დაბრუნება"(ნახ.!).

ნახ.1. SCOR მოდელი, (Supply chain operations reference, accessed, 29 May 2003).



მიწოდების ჯაჭვის წარმოდგენით ამ პროცესის სამშენებლო ბლოკების გამოყენებით SCOR შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მარტივი, ასევე რთული მიწოდების ჯაჭვების აღსაწერად. შედეგად, განსხვავებული ინდუსტრიები შეიძლება იყოს დაკავშირებული, რათა აღწერონ პრაქტიკულად ნებისმიერი მიწოდების ჯაჭვის სიღრმე. მოდელი ცნობს საწარმოებს შორის არსებულ სიმეტრიას იმით, რომ არსებობს იგივე პროცესები და ურთიერთკავშირი მიწოდების ჯაჭვის თითოეულ რგოლს შორის.

ნახ.2. გაფართოებული SCOR მოდელი (Thoben et al. 2002)



მიუხედავად იმისა, რომ ავტორები აღიარებენ, ორიგინალური SCOR მოდელის ერთ-ერთი ძლიერ მხარეს, როგორიცაა სიმარტივე, მოდელის გაფართოება აუცილებელი ხდება ღირებულებათა ჯაჭვის უფრო სრულად აღსაბუქდად. ნახ.2-ზე გამოსახული გაფართოებული SCOR მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული ბიზნესის მიმდინარე აპლიკაციებისა და მოდულების გასაფორმებლად და ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას. მომავალი ელექტრონული ბიზნესის ინიციატივების პოზიციონირებისა და შესაძლო პროგნოზირებისათვის.

კვლევის შედეგები და დასკვნები

ამგვარად, ციფრული ბიზნესის ან ელექტრონული ბიზნესის თემა რთული და მორსმომავალია. განსაზღვრებით ის მოიცავს ტექნოლოგიისა და ბიზნესის ასპექტებს.

ამ ნაშრომში განხილულია ციფრული ბიზნესის განმარტებები და წარმოდგენილია ახალი განმარტება, რომელიც განიხილება აპლიკაციების, მოდულების, ტექნოლოგიების, გამაძლიერებლების და დრაივერების პერსპექტივიდან. მიმოხილულია მიმდინარე და მომავალი ტენდენციები.

მოცემული გაფართოებული SCOR მოდელი, რომელიც შემუშავებულია და შემოთავაზებულია, როგორც ელ.ბიზნესის მიმდინარე აპლიკაციებისა და მოდულების შესამოწმებლად და შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი ბიზნეს ინიციატივების პოზიციონირებისათვის.

ეს კონცეპტუალური მოდელი ასევე გამოიყენება იმის დემონსტრირებისათვის, თუ როგორ შეიძლება ელ.ბიზნესის მრავალი ახალი განმარტების ჩამოყალიბება ისე, რომ ბიზნესის და ტექნოლოგიების ანალიტიკოსებმა მიაღწიონ საერთო დომენის გაგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Lee, H.L. and Whang, S., e-Business and Supply Chain Integration, 2001 (Stanford Global Supply Chain Management Forum: Stanford, CA), p. 311–319;

Fatt, C.K., E-commerce: The New Wave, 2002(PriceWaterhouseCoopers: London);

Scott, K.V., 2000, The technical writer as software process catalyst, in Proceedings of IEEE Professional Communication Society International Professional Communication Conference and Proceedings of the 18th Annual ACM International Conference on Computer Documentation: Technology and Teamwork, Cambridge, Massachusetts, IEEE; p. 357.

Phan, D.D., 2003, e-Business development for competitive advan-tages: a case study. Inform. Manage., 40(6), 581–590.

Oracle. Oracle e-Business suite. Available online at: <http://www.oracle.com/applications/index.html?content.html>(accessed 6 June 2003);

Siebel. Siebel products. Available online at: <http://www.siebel.com/products/index.shtm> (accessed 6 June 2003);

Microsoft. Microsoft products. Available online at: <http://www.microsoft.com/catalog/> (accessed 6 June 2003);

Kalakota, R., M., e-Business 2.0: Roadmap for Success, 2001, (Addison-Wesley: Boston, MA), p.63.

Timmers, P., Electronic Commerce: Strategies and Models forBusiness-to-Business Trading, 1999 (Wiley: Chichester, UK/New York, NY). p.223;

Kumar, S. and Zahn, C.,2003, Mobile communications: Evolutionand impact on business operations. Technovation,, 23(6), 515–520;

Supply Chain Council. Supply chain operations reference—model (SCOR) 6.0 Overview. Available online at: <http://www.supply-chain.org> (accessed 29 May 2003);

Thoben, K.D., Kirisci, P., Kicin, S., Eschenbaecher, J. andHiggins, P., 2002, Holistic approach for structuring the variousfacets of e-business in enterprise networks. In ICE, Rome, Italy.

საზღვაო ცივილიზაციები უძველესი დროიდან დღემდე და მათი როლი კაცობრიობის ეკონომიკურ- პოლიტიკურ ცხოვრებაში

მათე ქარჩავა

ბათუმის მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ხელმძღვანელი: **ნინო სამხარაძე**

პროფესორი მასწავლებელი

ბათუმის მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

აბსტრაქტი

წყალი არის ადამიანის სიცოცხლისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსი რომლის გარეშეც ცხოვრება წარმოუდგენელია. ანალოგიური სიტუაცია არის კაცობრიობის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს ასე არის უძველესი დროიდან, როდესაც პირველი დასახლებული პუნქტები და სახელმწიფოები ჩამოყალიბდა, არ არის შემთხვევითი რომ პირველი დასახლებები და სახელმწიფოები სწორედ იმ ტერიტორიებზე გაჩნდა და ჩამოყალიბდა რომელიც დიდი მდინარეების, ზღვების და ოკეანეების მიმდებარედ იყო, და სწორედ ეს ფაქტორი გახდა მათი ეკონომიკურ-პოლიტიკური გაძლიერების და განვითარების, და ეს პროცესი მსოფლიოს ყველა წერტილში ერთმანეთის ანალოგიური იყო. ეს იყო საშუალება აუცილებელი რესურსების, ვაჭრობის, მიმოსვლისთვის აუცილებელი პირობა.

ზემოთ აღნიშნული განვითარების პროცესები ანალოგიურად გაგრძელდა შუა საუკუნეების პერიოდშიც, და შემთხვევით ფაქტი არ არის, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარღვევა სწორედ იმ ახალი კონტინენტების აღმოჩენა გახდა, ისევ და ისევ ძლიერი საზღვაო სახელმწიფოების მიერ, რამაც კაცობრიობის ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია განვითარების ახალ ნაბიჯზე გადაიყვანა

აღნიშნული სიტუაცია 21 საუკუნეშიც არ არის შეცვლილი, დღესაც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში, დღესაც ყველაზე განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოებს წარმოადგენს სწორედ ის სახელმწიფოები რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა აკონტროლონ მნიშვნელოვანი საზღვაო ქალაქები და მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრებისთვის საჭირო უდიდესი საზღვაო მარშუტები, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დიდი ნაწილიც დაკავშირებული რჩება ამ საზღვაო მარშუტების კონტროლის მოპოვებისთვის. საქართველოც სწორედ საზღვაო სახელმწიფოს წარმოადგენს და ქართული პორტები მისი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს სრატეგიულ ობიექტებს წარმოადგენს და მისი საგარეო ვაჭრობის თითქმის 40 % მათი მეშვეობით ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნული სიტუაცია არის იმის განმაპირობებელი რომ ისევე როგორც სხვა დროს დღესაც მეზღვაურის პროფესია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, მრავალრიცხოვანი და მაღალანაზღაურებადი და ეს ტენდენცია კვლავ მზარდი რჩება.

მზის ენერგიის გამოყენება საქართველოში

ზვიად სესიაშვილი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

რამონ შაინიძე

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი ჟღენტი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: ნანა ხალვაში

პროფესიული განათლების მასწავლებელი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა საქართველოს ენერგეტიკულ-კულუ პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს. ენერგეტიკული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული ფასეულობების, დირეზულებებისა და ინტერესების განმტკიცებას ემსახურება სხვადასხვა ენერგეტიკული პროდუქტის ხარისხიანი და უწყვეტი მიწოდებით ხელმისაწვდომ ფასად (World Experience for Georgia, 2017, 2) ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

თუმცა, 2020 წლის განმავლობაში, ელექტროენერგიის გამომუშავება, წინა წელთან შედარებით, 5.9%-ით შემცირდა. ამ ფონზე 7.7%-ით არის შემცირებული განახლებადი ენერგიის წყაროების გენერაცია და ელექტროენერგიის დეფიციტის დასაბალანსებლად 59 მლნ აშშ დოლარის წმინდა იმპორტი გახდა საქირო 2020 წელს. აღნიშულიდან გამომდინარე, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობამ ბოლო 4 წლის მაქსიმუმს მიაღწია და ჯამური იმპორტის 38% შეადგინა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020, 3).

არსებითად მნიშვნელოვანია იმპორტირებული ელექტროენერგიის წილის შემცირება ჯამურ მოხმარებაში, რაც, ერთი მხრივ, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით და, მეორე მხრივ, ენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროების დანერგვით არის შესაძლებელი.

დღეს საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საკმაოდ მწვავე დისკუსიის საგანია. არაერთი არგუმენტი არსებობს ორივე მხარეს, თუ რატომ უნდა აშენდეს ან არ აშენდეს ჰესი. ბოლო წლების განმავლობაში, თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. ექსპერტები თვლიან, რომ ენერგოდამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანამ

სრულად აითვისოს არსებული ჰიდრორესურსები, გარემოსდამცველები კი გარემოზე ზემოქმედების საფრთხეს ხელავენ.

მზის ენერგია

მსოფლიოს მოთხოვნა ენერგიაზე ერთ წელზე გათვლით შეიძლება დაკმაყოფილდეს მზის შუქის იმ რაოდენობით, რომელიც დედამიწაზე ეცემა საათნახევრის განმავლობაში. შესაბამისად, მზის ენერგია არის მდიდარი, ძლიერი და ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით, მარტივად მისაღები და იაფი (მუხიგულიშვილი, კვარაცხელია 2013).

მაგალითად, მზის ელექტროსადგურის აშენებას 35-40%-ით ნაკლები ინვესტიცია სჭირდება, ვიდრე კაშხალის აშენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოითხოვს დამბების, წყლის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ვრცელ სისტემას. გარდა ამისა, მზის პანელის მწარმოებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა უფრო მოკლე ვადებში ხდება და, როგორც წესი, მას სჭირდება ერთი წელი. მზის ენერგიის სისტემა საჭიროებს მარტივ ტექნიკურ მხარდაჭერას მომხმარებლის ხარჯის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ინდივიდუალური მზის პანელების გამოყენებით შესაძლებელია ენერგიის ღირებულების 40%-მდე შემცირება (International Renewable Energy Agency, 2019).

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიხედვით, საქართველოს აქვს ხელსაყრელი კლიმატური და ტოპოგრაფიული პირობები მზის ენერგიის მიღებისათვის, რაც განპირობებულია წელიწადში დაახლოებით 280 მზიანი დღის არსებობით. მზის ენერგია შეიძლება იყოს მდიდარი და ეფექტიანი. საქართველოში, ყოველ კვადრატულ მეტრზე, წელიწადში 1300 კვტ/სთ მზის ენერგია ხვდება, რაც დაახლოებით 120 ლიტრი დიზელის საწვავს ან 130 კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს უტოლდება.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კვლევების თანახმად, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მზის ეფექტური გამოსხივება საკმაოდ ხანგრძლივია. ქვეყნის უმეტეს ნაწილში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა დაახლოებით 1 900 - 2 200 საათია. ამასთან, ეფექტური გამოსხივების განაწილება სეზონების მიხედვით არათანაბარია: ზამთარში 10-15%-ს, ხოლო ზაფხულში - 30-35%-ს შეადგენს. მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით 1 300 - 2 500 კვტ.სთ/მ² დიაპაზონში მერყეობს. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურია (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო).

„NASA“-ს მონაცემებით, მაისიდან ოქტომბრამდე, საქართველოში, შესაძლებელია წყლის გასაცხელებლად საჭირო ენერგიის 100%-ით უზრუნველყოფა. მარტში, აპრილსა და ოქტომბერში მზე იძლევა საჭირო სითბოს ნახევარს, ნოემბრიდან თებერვლამდე კი - 20-30%-ს (სუმბაძე, 2014).

საქართველოში მთლიანი ენერგოპროდუქტის მცირე წილი მიიღება მზის ენერგიიდან, მაგრამ ქვეყანა წარმოადგენს პოტენციურ ბაზარს ამ სექტორის განვითარების თვალსაზრისით. ამას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ადეკვატური

პოლიტიკის გააქტიურება, თუმცა საქართველოში მზის პანელების მხოლოდ ერთი საწარმო არსებობს, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაიხსნა.

საქართველოს ენერგეტიკული რესურსი

საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგორესურსებს უკავია. ქვეყნის ძირითად მდინარეთა ეკონომიკურად მიზანშეწონილი წლიური პოტენციალი დაახლოებით 40 მლრდ კვტ. საათითაა შეფასებული.

Galt & Taggart-ის მონაცემებით, 2019 წელს ქვეყნის ელექტროენერგიის მოხმარება 12,8 კვტ.სთ–ს გაუტოლდა, რაც 1,4% - ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2018 წელს კი 6%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იძლევა შესაძლებლობას არამხოლოდ საკუთარი მოთხოვნილება დაკმაყოფილოს, არამედ მეზობელი ქვეყნებიც მოამარაგოს ენერგიით. საქართველოს აქვს ასამდე ქვესადგური და ვრცელი გადამცემი სისტემა, რაც საშუალებას აძლევს მას დაუკავშირდეს მეზობელ ქვეყნებს. საქართველო კავკასიაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს ელექტროკავშირები რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან - აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და თურქეთი. თურქეთი, თავისი მზარდი ენერგომოთხოვნებით, პოტენციური საექსპორტო ბაზრის კარგი შესაძლებლობაა.

საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთთან, რათა დაეხმაროს მას ენერგომოთხოვნების დაკმაყოფილებაში, კერძოდ, ჰიდროენერგიის მეშვეობით. თურქეთის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას სჭირდება ენერგია, განსაკუთრებით, ზაფხულში. აქედან გამომდინარე, საქართველოს აქვს შესანიშნავი პოტენციალი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე მზის ენერგიის სექტორში ინვესტირებისათვის.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა, ერთი მხრივ, ევროკავშირის, ევრო- პის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რითაც შეიქმნა მხარეთა მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩო. ეს ჩარჩო ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმებს, უფრო კონკრეტულად კი - საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის 300- მდე სამართლებრივ აქტთან.

ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (კარი VI), რაც ითვალისწინებს საქართველოს ენერგოსაფრთხოების განმტკიცებას, ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა – ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა. შეთანხმება, ასევე, ითვალისწინებს ევროპის ენე- რგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობას. ასოცირების შეთანხმების ენერგეტიკულ ნაწილში თანამშრომლობა მოიცავს რამდენიმე ძირეულ საკითხს, რომელთა შორისაა:

- ენერგომომარაგების უსაფრთხოების განმტკიცება, ბაზრის ინტეგრაციის ზრდა და ეტაპობრივი რეგულაციური დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს პრინციპებთან;

- ენერგიის დაზოგვის და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით;

- განახლებადი ენერგიის განვითარება და ხელშეწყობა;

- სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ენერგიის წარმოებაში, ტრანსპორტირებაში, მიწოდებასა და მისი

- გამოყენების პროცესში ტექნოლოგიების განვითარებისა და დახვეწის მიზნით და სხვ.

• აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება განავითაროს განახლებადი ენერგია. მთავრობა აძლიერებს ძალისხმევას ჰიდრო და ქარის ენერგიის მიმართულებით. მზის ენერგიაც შეადგენს მთავრობის ძალისხმევის მნიშვნელოვან ნაწილს, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნისა და ევროკავშირის მიზნები.

დასკვნა

საქართველოში მზის ენერგიის გამოყენებას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია მაკროდონეზე - ქვეყნისთვის, ხოლო მიკროდონეზე - ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. კლიმატის ცვლილებისა და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გარემოსდაცვითი ზომები გაატაროს, რაშიც მზის ენერგიის ათვისება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და დაზოგავს რესურსებს.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ როგორც მთავრობა, ასევე კერძო სექტორი ავლენს დიდ ინტერესს მზის ენერგიის განვითარების მიმართულებით. ქვეყანაში არ არსებობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორები, რამაც შეიძლება დააბრკოლოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ქვეყანაში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შესაძლებლობას აძლევს ინვესტორს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით აწარმოოს პროდუქტი. ევროკავშირისა და სხვა არაერთ ქვეყანასთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ინვესტორი შეძლებს იოლად გაიტანოს საქართველოში წარმოებული პროდუქტი ექსპორტზე გამარტივებული პროცედურებით.

მზის პანელების წარმოების წარმატებით დანერგვა მეტ სტიმულს მისცემს ინვესტორებს დაინტერესდნენ პროექტის სხვა კომპონენტებითაც, როგორიცაა დამტენი სადგურები და ელექტრომანქანები.

გამოყენებული ლიტერატურა

მუხიგულიშვილი გ.; კვარაცხელია თ. ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა, თბილისი. , 2013.

თხევადი ბუნებრივი გაზის საზღვაო ძრავები

მინდია ბაჟუნაიშვილი
მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ხელმძღვანელი: ია ვერულიძე
პროფესიული მასწავლებელი
მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

Abstract

A marine LNG engine is a dual fuel engine that uses natural gas and bunker fuel to convert chemical energy in to mechanical energy. Due to natural gas' cleaner burning properties, the use of natural gas in merchant ship propulsion plants is becoming an option for companies in order to comply with IMO and MARPOL environmental regulations. The natural gas is stored in liquid state (LNG) and the boil-off gas is routed to and burned in dual fuel engines. Shipping companies have been cautious when choosing a propulsion system for their fleets. The steam turbine system has been the main choice as the prime mover on LNG carriers over the last several decades. The decades-old system on steam propelled LNG carriers uses BOG (boil-off gas). LNG carriers are heavily insulated to keep the LNG at around -160 °C – to keep it liquefied. Despite insulation, the LNG containment area is penetrated by heat which allows for naturally generated boil-off gas (BOG).

LNG shipping first became a possibility in 1959 when the Methane Pioneer, a converted WWII freighter safely transported Liquefied Natural Gas into the United Kingdom. After proving that LNG can be safely transported across the ocean, the LNG shipping industry boomed and now employs 200 billion dollars annually in capital. Since the start of the LNG industry in 1964, international trade has increased 50 times over, production capacity has increased 10 times over, and individual ship capacity has increased 5 times over. The LNG tanker design was initially created by Worm's and Co. This design is now referred to as the Gaz Transport Design. The tanks were initially created to hold 34,000 cubic meters, but the design has transformed into 71,500 cubic meters. Spherical LNG tanks showed up in 1973, when Hoegh built the Norman Lady. Spherical tanks are common among modern LNG vessels. In 1999, Samsung Heavy Ind. created the largest New Membrane-type LNG carrier of its time. She was the largest single hull vessel of her time, with a length of 278.8 meters, and the capability of 20.7 knots. The Arctic Princess, delivered in 2006, was the largest LNG tanker ever created. She is 288 meters long, and has a capacity of 147,000 cubic meters. Since 2006 capacities have continued to climb. New build LNG vessels delivered to customers in 2018 are often designed to fit through the expanded Panama Canal (neopanamax) and have 170,000 cubic meter capacities.

The natural gas that fuels dual fuel engines is carried on ships as a boiling liquid and transported at slightly higher than atmospheric pressure. When tank insulation is penetrated by an influx of heat, it causes the temperature of the liquefied natural gas to rise which allows for vaporization from liquid to gas. When heat penetrates the tank, the tank's pressure increases due to the boil-off. The insulation of the tanks is designed with the most advanced technology. Even still, the insulation of the tanks is penetrated by heat. The boil-off occurs during the ships voyage. During a storm, the LNG cargo moves and sloshes around in the tanks. The boil-off gas represents 0.1% - 0.25% of the ships capacity per day. Tanks need to be maintained at a steady pressure. If the pressure in tanks gets too high, relief and safety valves open, venting the boil-off into the atmosphere until the excess pressure is relieved. Due to the fact that on-board LNG re-liquefaction is uneconomical for most ships, the gas produced by the boil-off gets routed to the ship's propulsion system and used as fuel for power plants such as steam boilers and dual fuel marine diesel engines. This reduces the use of bunker fuel, therefore reducing fuel and equipment maintenance costs.

Samsung's Supreme was a Mark-III type LNG container ship that was the largest of its kind. The Supreme had the newest technology seen in LNG ships. She features tanks completely surrounded by double bottom hull, and a cofferdam between tanks. Each tank stores its cargo at -163 degrees Celsius. This is a standard storage temperature for LNG this is accomplished by 250 mm of insulation, and a 1.2 mm thick stainless steel membrane. Each cargo tank has submerged centrifugal pumps to unload cargo rapidly. This is the standard unloading method for LNG tanks. The maximum draught for LNG ships is typically 12 meters. This is due to harbor facilities sizes and restrictions. The most common size of LNG vessels ranges between 120,000 and 180,000 cubic meters because of ship dimensions. (Propulsion Trends in LNG Carriers Two-stroke Engines, 2017).

The two common types of LNG carriers are Moss and Membrane. Moss type carriers feature spherical tanks to hold LNG, while Membrane style carriers feature more traditional rectangular style tanks with a stainless-steel membrane. Membrane tankers are more common because they are smaller than moss ships for the same amount of LNG fuel carried, but they create more boil-off gas than Moss style ships.

A study by MEC Intelligence found said that LNG will be the primary fuel source for all merchant ships within 40 years. Many companies have already begun looking at the process of switching their fleets over to LNG propulsion systems.

LNG vessel propulsion systems typically come equipped with WHRs, because they can lead to reduced emissions, reduced fuel consumption, and better efficiency. Switching to LNG powered vessels is a complicated task for companies, but combined with modern Waste Heat Reduction systems (WHRs), LNG vessels can be more efficient than diesel or steam propelled vessels.

Most propulsion systems in LNG carriers use the BOG and liquid fuels. In a steam plant, the BOG is used to fire the boilers and produce steam. The steam drives the turbines and propels the ship. The advantage to this type is that when the LNG cargo tank pressure is elevated the

excessive BOG is burned simultaneously with liquid fuel. If there isn't enough BOG, liquid fuel (heavy fuel oil or HFO) is used to keep the plant operating. An alternative to the steam turbine engine is the dual-fuel marine diesel engine. Commercial ship propulsion system manufacturers such as Finland's Wärtsilä and Germany's MAN Diesel are producing large bore dual-fuel diesel engines. The MAN B&W ME-GI Engines have extremely flexible fuel modes that range from 95% natural gas to 100% HFO and anywhere in between. A minimum of 5% HFO for pilot oil is required as these are compression ignition engines and natural gas is not self-combustible. Steam turbines are exclusively the primary moving source for LNG ships, even though 2-stroke diesel engines are more efficient. This is because the boil-off gas from LNG needs to be utilized.

Recent research has been focused on using LNG for fuel on ships other than LNG tankers. These studies show that LNG stands out in terms of emissions reduction and reduced operational costs. Some economic incentives have been shown to be advantageous to running an LNG propulsion system. When certain systems such as waste heat recovery (using waste heat to do work rather than dissipate) are added to the power plant, significant savings can be observed. One study shows that an LNG engine with a WHR system saves money compared to a diesel engine with WHR. There is a higher initial investment cost but it is a cost efficient method and environmentally sound one.

Natural gas consists mainly of methane, which has a much stronger greenhouse effect than CO₂ ref: Global warming potential. Climate impacts of methane are due largely to methane leakage. For example, there is an issue called methane slip. Methane slip is when gas leaks unburned through the engine. Methane has a GWP (20) (20-year global warming potential) which is 86x higher than CO₂. If methane slip is not controlled, environmental benefits to using natural gas are reduced and can cancel out the advantages over diesel or bunker fuel due to the high greenhouse effect of the methane. Another challenge is hazards associated with the LNG being stored at very low temperatures. Insulation of the tank is critical, and there's possibilities of structural brittleness and personnel frostbite injuries. Essentially, since it is established that LNG for ship propulsion reduces CO₂ and other pollutants compared to common heavy fuel oils, LNG implementation depends on these key factors: Gas availability, demand for ships, emission limits (emission controlled areas), LNG tank installation, and safety requirements. Challenges related to the use of LNG should be taken into consideration. Challenges such as the lack of infrastructure in the majority of commercial ports, crew's limited experience running engines with gas fuels, the future price of gas, and the required safety measures all are critical points to be considered.

Use of LNG reduces Sulfur Oxides by nearly 100 percent, and it reduces Nitrogen Oxide emission by about 85 percent. There is considerable debate as to whether use of LNG results in reduced greenhouse gas emissions, with studies finding that methane leakage negates climate benefits.

The requirements concerning the use of LNG fuel in shipping, in particular technical and safety requirements are set out in International Code of Safety for Ships Using Gases or Other Low-flashpoint Fuels, abbreviated as the IGF Code.

Benefits of LPG propulsion

These world's first LPG dual-fuel engines will reduce emissions of Sulfur Oxides (~97%), Particulate Matters (~90%), Carbon Dioxide (~15%) and Nitrous Oxides (~20%). This means that vessels powered by LPG will be in full compliance with current and future SOx emission requirements, including for Emission Control Areas (ECAs) and Sulfur Emission Control Areas (SECAs).

საბალასტე სისტემა

დომიტრი პატარაია

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ლაშა მურკაძე

მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ხელმძღვანელი: გიორგი ბერიძე

პროფესიული განათლების მასწავლებელი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საბალასტე სისტემა გემზე (BWTS) თანამედროვე ხომალდებზე გვხვდება თხევადი ბალასტის სახით. ზღვის წყლის გადატანა გემების მიერ სხვადასხვა საზღვაო აუზში იწვევს საზღვაო ეკოსისტემის მოშლას, რამაც მსოფლიო მასშტაბით ეკოლოგიის ყურადღება მიიპყრო. შესაბამისად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ გადაწყვიტა გემების საბალასტე წყლისა და დანალექების სისტემის კონტროლი. საბალასტე წყლების მიღებასა და ჩადვრასთან დაკავშირებით მოთხოვნები გამკაცრდა, რაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ საბალასტო წყლის მენეჯმენტის კონვენციას, რომელიც საბალასტე სისტემის თანამედროვე მოწყობილობების გამოყენებას სავალდებულოს ხდის.

საკვანძო სიტყვები: ბალასტური წყალი, დამუშავება, MARPOL 73/78, ბალასტის წყლის მენეჯმენტის კონვენცია, ეკოლოგია

შესავალი

ბალასტი (ჰოლანდიური ბალასტიდან) არის ტვირთი, რომელიც დატანილია გემზე, გემი აუცილებელი ზღვის უნარიანობის უზრუნველსაყოფათ (პირველ რიგში დაშვება და სტაბილურობა), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტვირთ ამწეობა და მარაგი არასაკმარისია ამისათვის. არსებობს “ცვლადი” და “მუდმივი ბალასტი: პირველისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება წყალი (თხევადი ბალასტი), მეორესთვის ქვიშა, ფოლადი, ქვები. ბალასტი და ზოგჯერ წყალი. თვითმავალი სატვირთო გემები თვირთის გარეშე ცურვისას იღებენ თხევად ბალასტს (“ბალასტში ცურვა”), რათა გაზარდონ ნაკადი რაც აუცილებელია პროპელერების სწორი მუშაობისთვის და უზრუნველყონ სტაბილურობა კურსზე, ხოლო დატვირთული ცურვისას - გაუმჯობესონ გემის სტაბილურობა.

საბალასტე სისტემა

ზღვის დაბინძურების პრევენციის საერთაშორისო კონვენციის MARPOL 73\78 მიხედვით არსებობს გარკვეული წესები თხევადი ბალასტის ნავმისადგომი გაშვებისა და ბალასტის შემდეგ ტიპებად დაყოფისთვის: „იზოლირებული ბალასტი არის ზღვის წყალი რომელის მიიღება იზოლირებული ბალასტის ავზებში რომლებსაც აქვთ ავტონომიური სატუმბი სისტემა და ცალკეული ტუმბოები მხოლოდ ამ მიზნით.“

იზოლირებული ბალასტი იხსნება ზღვაში შეზღუდვის გარეშე. სუფთა ბალასტი არის ზღვის წყალი რომელიც მიიღება იზოლირებულ ბალასტურ ავზებში ან კარგად გარეცხილ სატვირთო ავზებში, გადატუმბული ბალასტური სისტემით საერთო ბალასტური ტუმბოებით სპეციალური უბნის გარეთ 12 მილის ზონის მიღმა წყნარ წყალში ჩაშვებისა არ იწვევს წყლის ზედაპირზე ზეთის კვალის გამოჩენას.

ბალასტური ნებისმიერი ოპერაცია ბალასტის აზიდვა ან მიღება უნდა უნდა ჩაიწეროს სპეციალურ „ბალასტური ოპერაციების ჟურნალებში“. ბალასტის შესაცვლელად შექმენით ტანკ-ტანკერზე ბალასტის ჩანაცვლების გრაფიკი სტაბილურობის წინასწარი გამოთვლებით და შეავსეთ სპეციალური საერთაშორისო ნორმებით სადაც მითითებულია ბალასტის ჩანაცვლების მეთოდი და მისი მდებარეობა მისი რაოდენობა და სხვა მონაცემები.

დასკვნა

კრენისა და დიფერენტის გასასწორებლად იყენებენ ბალასტს რადგან როდესაც გემი იცლება ტვირთისაგან გემს წყალში გჯდომა ნაწილობრივ არ აქვს და როდესაც ზღვაში გასვლა უწევთ მეტიი ალბათობაა გემი შეიძლება გადაბრუნდეს ამიტომ გემზე აუცილებლად გვჭირდება ბალასტის მიღება.

ბალასტის წყლის ჩაშვებამდე MARPOL- ის კონვენცია სადაც მოხვდა ცვლილება 2004 წელს მაგრამ აქტუალური გახდა 2017 წელს რომელიც ავალდებულებს ყველა გემს ჩაატაროს შემდეგი პროცედურები : პირველ რიგში ხდება მისი უხეში გაფილტრვა ზღვი წყლის შემდეგ ხდება მისი სუფთა გაფილტვრა ამის შემდეგ ხდება წვეთობრივი დამშავება ბალასტური წყლის რათა არმოცდეს სხვადასხვა ზღვებში უცხო მიკრობების გავრცელება ამ პროცედურის შემდეგ ხდება საბალასტე წყლის ულტრაისსფერი სხივების დასხივება რათა საბოლოოდ განადგურდეს საბალასტე წყალში არსებული მიკრო ორგანიზმები და ბაქტერიები ბორტს მიღმა გაშვებამდე .

როგორც მოგეხსენებათ სანამ კონვენციაში ცვლილება შევიდოდა ამ დანადგარამდე ვგულისხმობ საბალასტე სისტემას ხვდებოდა სხვადასხვა სახით ბალასტის ჩაშვება ბორტს მიღა გზადაგზა იცვლებოდა საბალასტე წყლები რომელიც იყო შრომატევადი პროცედრა და ერც ღებულობდნენ სასურველ შედეგს რათა შეგვემცირებინა ზღვის წტლის დაბინძურება და ბაქტერიების გამრავლება.

21 საუკუნეში ყველა მეზღვაურის და ყველა ჩვენთაგანის ვალდებულებაა გაუფრთხილდნენ ზღვებისა და ოკეანების ეკო სისტემას რადგანაც მნიშვნელოვანია და აქტუალურია ზღვებისა და ოკეანების ბინადრები. ასე რომ ყველა მეზღვაურის

ვალდებულებაა გაუფრთხილდენ ეკოლოგიას და გაუფრთხილდნენ ზღვებისა და ოკეანეების ფლორა ფაუნას .

გამოყენებული ლიტერატურა

ვარძელაშვილი, დ. (2009). საზღვაო ლექსიკონი. [რედ. ჯავახიშვილი, ა., ებრაღიძე, ნ.]. თბილისი: ალავერდი.

Babicz, J. (2015). WÄRTSILÄ Encyclopedia of Ship Technology (2nd ed.). Helsinki. წყარო: <https://maritimesafetyinnovationlab.org/wp-content/uploads/2017/04/wartsila-o-marine-encyclopedia.pdf>; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.

IMO. (2004). International Convention for the Control and Management of Ship's Ballast Water and Sediments. BWM/CONF/36. წყარო: <https://library.arcticportal.org/1913/1/International%20Convention%20for%20the%20Control%20and%20Management%20of%20Ships%27%20Ballast%20Water%20and%20Sediments.pdf>; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.

IMO. (2011). International Convention for the Prevention of Pollution from Ships, 1973, as Modified by the Protocol 1978. წყარო: <https://www.imo.org/en/KnowledgeCentre/ConferencesMeetings/Pages/Marpol.aspx>; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.

Marine Insight. (March 16, 2024). A Guide to Ballast Tanks on Ships. Marine Insight. წყარო: <https://www.marineinsight.com/naval-architecture/a-guide-to-ballast-tanks-on-ships/>; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.

მიქცევა-მოქცევის ელექტრო სადგური

ლაშა ბურკაძე

მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

თემურ ქამადაძე

მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ხელმძღვანელი: შოთა ბარამიძე

პროფესიული განათლების მასწავლებელი
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ზღვის მოქცევა არის ენერგიის ფორმა, რომელიც წარმოიქმნება ზღვის მოქცევის ბუნებრივი მომატებით და დაკლებით, რომელიც გამოწვეულია დედამიწის, მზისა და მთვარის გრავიტაციული ურთიერთქმედებით. ზღვის მოქცევით საკმარისი ენერგიის მიღებისას, სპეციალურად შემუშავებული გენერატორების გამოყენებით შესაფერის ადგილებში, მოქცევის ენერგია შეიძლება გარდაიქმნას ენერგიის სასარგებლო ფორმებად, ელექტროენერგიის ჩათვლით. ენერგიის სხვა ფორმები ასევე შეიძლება წარმოიქმნას ოკეანედან, მათ შორის ტალღები, მუდმივი ოკეანის დინებები და ტემპერატურისა და მარილიანობის განსხვავება ზღვაში.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ელექტროენერგია, ელექტროსისტემა.

შესავალი

მოქცევის ენერგია წარმოიქმნება ოკეანის წყლების ტალღის შედეგად მოქცევის აწევისა და დაცემის დროს. მოქცევის ენერგია ენერგიის განახლებადი წყაროა.

მე-20 საუკუნის განმავლობაში, ინჟინერებმა შეიმუშავეს გზები, რათა გამოეყენებინათ მოქცევის მოძრაობა ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად იმ ადგილებში, სადაც არის მნიშვნელოვანი მოქცევის დიაპაზონი - სხვაობა მიქცევასა და მოქცევას შორის. ყველა მეთოდი იყენებს სპეციალურ გენერატორებს მოქცევის ენერგიის ელექტროენერგიად გადაქცევისთვის.

შეერთებულ შტატებში არსებობს სამართლებრივი შეშფოთება წყალქვეშა მიწის საკუთრების და გარემოზე ზემოქმედების შესახებ. ინვესტორები არ არიან ენთუზიაზმით მოქცევის ენერგიაზე, რადგან არ არსებობს ძლიერი გარანტია იმისა, რომ ის გამოიმუშავებს ფულს ან სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს.

ინჟინრები მუშაობენ მოქცევის ენერგიის გენერატორების ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, რათა გაზარდონ მათ მიერ წარმოებული ენერგიის რაოდენობა, შეამცირონ მათი გავლენა გარემოზე და იზოვონ გზა ენერგეტიკული კომპანიებისთვის მოგების მისაღებად.

ზღვის მიქცევა-მოქცევის ელექტროსადგური

მეცნიერების აზრით მრავალი წლის განმავლობაში ისმის გფრთხილება იმის შესახებ, რომ იქმნება პრობლემები ბუნებრივი საწვავის ამოწურვის გამო, უფრო მეტიც ბუნებრივი საწვავის გამოყენება და მისი წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები და გაზები იწვევენ უარყოფით გავლენას გარემომცველ პირობებზე. იმისთვის, რომ ეს მავნე გავლენა გარემო პირობებზე შემცირდეს მეცნიერები ეძებენ გამოსავალს სხვადასხვა ენერგომატარებელ საშუალებებში. როგორიცაა ქარი, გეოთერმული წყლები, (გეიზერები), ზღვის ტალღები, ოკიანის მიქცევა-მოქცევა ენერგია და სხვა.

პირველი მოქცევის ელექტრო სადგური შეიქმნა, რუსეთში 1968 წელს ეს არის ქ.კისლაგუბსკის მოქცევის ელექტრო სადგური (ჰესი), რომელმაც მისცა ბიძგი ამ ტიპის ელექტრო სადგურების მშენებლობას მსოფლიო მასშტაბით. ეს ელექტრო სადგური განლაგებულია მურმანსკის სიახლოვეს ბარენცის ზღვაში. ამ ელექტრო სადგურის სიმძლავრე არ აღემატებოდა 0,5 მეგავატს. მისი გაუმჯობესების შემდეგ, სიმძლავრე აიყვანეს 1,7 მეგავატამდე. ეს არის რუსეთში მოქმედი ერთადერთი ჰესი და გამოიყენება მეცნიერული დაკვირვებისათვის.

კრასნოგუბსკის ჰესი შეიმუშავა და ააშენა გერმანელმა ტყვემ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ამ ტერიტორიაზე იბრძოდა 50-იან წლებში, მას ძალიან მოეწონა ბუნებრივი წყალსაცავი, რომლის გადასაკეტად არ არის საჭირო ფინანსურად დიდი დანახარჯები. რაში შეიძლება დაგვეხმაროს ამ ჰესებმა? მთელი მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ რათა მომავალში შეიქმნას ეფექტური და ბუნებისთვის უსაფრთხო ელექტრო ენერგია.

რაც შეეხება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ჰესებს ყველაზე მეტად ტექნიკურად გამართული და მოქმედი სადგურებია: აშშ-ი საფრანგეთში, კანადაში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ირლანდიაში. ყველაზე მძლავრი ჰესი არის სამხრეთ კორეაში რომლოს სიმძლავრე არის 254 მეგავატი.ის მდებარეობს სეულიდან 40-კილომეტრში. სიმძლავრით შემდეგი არის საფრანგეთის ჰესი.

ჰესი არის მაგალითი იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთა დანადგარის და ბუნებაზე მოქმედებს უსაფრთხოდ. ასეთი ელექტრო სადგურებისთვის კეთდება კაშხალი, რომელიც აცალკევებს ზღვას ხმელეთისგან ანუ ქმნის ავზის მაგვარ არეალს. ამ კაშხალებში მონტაჟდება ჰიდროტურბინები, რომლებიც წყლის მოძრაობას კინეტიკურ ენერგიას გარდაქმნის ბრუნვით მოძრაობაში. წყლის მოქცევის დროს წყალი გაედინება მიკრო ტურბინის გავლით და დაიწყებს პროცესს. ხოლო მოქცევის დროს ხდება უკუპროცესი ანუ დაგროვილი წყალი იწყებს უკან დაბრუნებას ასევე ტურბინის გავლით.

ჰესის მუშაობის პრინციპი, დამყარებულია ზღვის მიქცევა-მოქცევასთან. მოქცევა ხდება, როდესაც მთვარე არის უმაღლეს წერტილში. მიქცევა ხდება როცა მთვარე არ ჩანს. კაშხალში გათვალისწინებულია წყლის შესვლის მახტები რომლის შუა ნაწილში მოთავსებულია გენერატორის ხრახნი, რომელიც მახტაში წყლის შესვლა გამოსვლის

პროცესში ახდენს ბრუნვით მოძრაობას. აბრუნებს ლილვს, რომლის ბოლოზე მოთავსებულია გენერატორი და ეს გენერატორი გამოიმუშავებს ელექტრო ენერგიას. მოქცევის დროს ზღვის დონე მაღალია, ხოლო ავზში წყლის დონე დაბალია. როდესაც წყალი მოძრაობს შახტაში, ავზი ივსება და ხდება უკუქცევა. ამ შემთხვევაში წყალი ნელნელა გამოედინება შახტიდან და ხრახნი აგრძელებს გაუჩერებელი ბრუნვით მოძრაობას.

ჰესის მუშაობა მოგვაგონებს ქარის ელექტროსადგურის მუშაობის პრინციპს იმ განსხვავებით, რომ ისინი თუ ჰაერის ნაკადით მუშაობენ ამის მუშაობას ახორციელებს წყლის ნაკადი. ელექტრო სადგური მონტაჟდება კაშხალზე ზღვასთან, რის გამოც წყლის რესურსი გამოიყენება მაქსიმალურად და ეფექტურად. გენერატორები გამოიყენებენ კინეტიკურ ენერგიას წყლის მოქცევის დროს, ხოლო როდესაც მოქმედებს ელექტროსადგური გამოიყენება კინეტიკური და პოტენციური ელექტრო ენერგიები, რომლებიც დაგროვილია კაშხალში. კაშხალის სიგრძე უმეტეს შემთხვევაში არის 30,35 კმ, რომლის მშენებლობა ხდება პირდაპირ ზღვაში, რისთვისაც საჭიროა დიდი რაოდენობით დაბალ საყრდენიანი ჰიდრო ტურბინები, რომლებიც მუშაობენ ერთი მიმართულებით მიმდინარე წყალზე. ეს ტურბინები ქარდაქმნიან მოქცევის შედეგად მიღებულ გამდინარე წყლის ენერგიას ელექტრულ ენერგიად. ეს წყალსაცავი დაიტევს დიდი რაოდენობით წყალს, რათა უზუნველყოს უკუქცევა მთელი პროცესის განმავლობაში.

განსხვავებით ჰიდროელექტრო სადგურებიდან, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ბუნებაზე და თევზის მეურნეობაზე. ჰესები უარყოფითად არ მოქმედებს არც ბუნებაზე და არც თევზის მეურნეობაზე. ის შედგება 4 ციკლისაგან; ჰესის მუშაობის ციკლი, რომელიც დამოკიდებულია ზღვის მიქცევა-მოქცევაზე და გრძელდება 4-6 სთ განმავლობაში. ამ დროს განმავლობაში წარმოიქმნება ძირითადი ელექტრული ენერგია. ხოლო ციკლებს შორის წარმოიქმნება 1-2 სთ შენელების პერიოდი. ამ დროის განმავლობაში ხდება ელექტრული ენერგიის დაბალი გამომუშავება რაც დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 4-ჯერ მეორდება.

ყველაზე მომგებიანი ადგილები, სადაც არის წყლის დონის მაღალი ცვლილება ამავე დროს სასურველია იყოს ბუნებრივი ავზი, რომელიც მოითხოვს კაშხლის ნაკლებ სიგრძეს და შესაბამისად მისი ღირებულება მცირდება.

ჰესი არ აფრქვევს მავნე ბიომასას ატმოსფეროში. ჰესი არ აფერხებს გემების მოძრაობას და თევზების გადაადგილებას. ასევე ყინულის ნამტვრევების შემკავებულია და იცავს სანაპირო ზოლს შტორმისა და ყინულის ნამსხვრევების დაზიანებებისგან. ჰესის მუშაობის დადებითი მხარეა ხანგრძლივი მუშაობის საშუალება. მშენებლობის დასრულების შედეგად ელექტრო ენერგიის მოპოვება სხვა ელექტროსადგურებთან შედარებით ხელმისაწვდომია.

დასკვნა

როგორც ვხედავთ ამ ტიპის ელექტრო სადგურების მშენებლობა, არის ძალიან დიდი მიღწევა ამიტომ მისი დანახარჯის ანაზღაურება უფრო დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე სხვა ელექტრო სადგურების. მსოფლიო ჩქარი ტემპით ვითარდება იქმნება თანამედროვე ტექნოლოგიები.

იმ ქვეყნებში, სადაც ხდება ზღვის მიქცევა-მოქცევა, მსგავსი ტიპის ელექტრო სადგურების მშენებლობა ხელს შეუწყობს დანახარჯების შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დადებითი მხარე აქვს ის ნაკლებად გამოიყენება მსოფლიოში. ეს იმიტომ ხდება, რომ კაშხალის მშენებლობა მოითხოვს დიდ ფინანსურ დანახარჯებს გარდა ამისა, კაშხალი მოითხოვს დიდ ტექნიკურ მომსახურებას-მოვლას. მისი აგება 1,5-ჯერ მეტი ხარჯია ვიდრე ჩვეულებრივი ელექტრო სადგური. ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტრო ენერგია უფრო ნაკლებია ვიდრე ჰესებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://www.pnnl.gov/explainer-articles/tidal-energy> - :~:text=Tidal energy is a form,the water to move faster.

<https://education.nationalgeographic.org/resource/tidal-energy/>

https://en.wikipedia.org/wiki/Tidal_power

სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია Students International Conference

კონფერენციის მასალათა კრებული Conference Proceedings

სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პოზიციას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

The opinions expressed in the articles belong to the authors and may not necessarily coincide with the position of Batumi Navigation Teaching University. The author is solely responsible for the accuracy of the facts and data presented in the article.

კონფერენციის მასალათა კრებულში წარმოდგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული VIII სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი სტატიები.

The collection of conference materials presents the articles presented at the 8th international student scientific conference held by the Batumi Navigation Teaching University.

სტატიები იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

The articles have been printed under the editorial supervision provided by the authors.

© „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ – 2024

© „Batumi Navigation Training University“ - 2024

info@bntu.edu.ge

ISBN: 978-9941-506-86-4

VIII

სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია
Students International Conference